საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№ 25
(11 993)

4 – 6 აპრილი, 2006 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo


საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola გენერალური სპონსორი

## ხაჩიძე („ბორჯომი") – ჩერნიშოვი („დინამო" თბ) 4-2

1 აპრილს, საღამოს, ბორჯომში გაოცებით კითხულობდნენ: „რაშია საქმე, რა მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი, ქუჩებში ავტომანქანები გაბმული სირენებით რომ დაქრიან და ფანჯრებიდან თავგამოყოფილი გახარებული ახალგაზრდები გაიძახიან: „ბორჯომი, ბორჯომი"!

ეს ადგილობრივმა საფეხბურთო გუნდმა დაამარცხა ევროპის ექს-ჩემპიონი, სახელოვანი თბილისის „დინამო"!...

...თბილისელთა ტაქტიკა იოლად გასაშიფრი იყო. გუნდი თამაშობდა ოთხი მცველით, რომლებიც ოდნავ მარჯვნივ იყვნენ გადმონაცვლებულნი, ხოლო ნახევარმცველები ცოტა მარცხნივ განლაგდნენ. ეს იმიტომ, რომ წინ წაწეულ მარჯვენა მცველ ამბროზიოს ფლანგზე სამოქმედო სივრცე ჰქონოდა. უფრო შემოქმედებითი და თანამედროვე იყო ვ. ხაჩიძის სისტემა (4X2X3X1). იგი ხაზზე განლაგებული ოთხი მცველის წინ ორი საყრდენით თამაშობდა.

...მატჩი ბორჯომელთა შეტევებით დაიწყო. „დინამო" კონტრთამაშით პასუხობდა და უკვე მე-4 წუთზე მეგრელაძემ გახსნა ანგარიში.

ბორჯომელებმა გააძლიერეს იერიშები და მე-18 წუთზე არგენტინელმა სებალემ ძლიერად დაარტყა. სტურუამ კარგად ვერ მოირგო ბურთი ხელში, წინ დაუვარდა, რასაც მიუსწრო იმავე სებალემ და გაათანაბრა ანგარიში – 1-1.

მალე ახალაიამ ტრავმა მიიღო და იგი ბობოხიძემ შეცვალა. ეს უკანასკნელი შემოვიდა თუ არა, მშვენიერი პასი გაუკეთა მეგრელაძეს, რომელმაც ვარდნაში ულამაზესი გოლი გაიტანა. „დინამო" კვლავ დაწინაურდა.

ორი წუთის შემდეგ თბილისელთა

იხ. მე-4 გვ.

## ემზარ ზენაიშვილი სოკ-ის ღირსების ორდენის კავალერია



ეს საპატიო ჯილდო, რომელიც ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააწესა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 1983 წელს, დღემდე მიღებული აქვს 150-მდე გამორჩეულ პიროვნებას. ახლა მათ რიგებს შეემატა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი,** რომელსაც ჯილდო გადასცეს სოკ-ის პრეზიდენტმა **ჟაკ როგმა** და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა **მარიო ვასკეს რანიამ.**



დღეს სეულში მთავრდება ხსენებული ასოციაციის XV გენერალური ასამბლეა მსოფლიოს 201 ქვეყნის 1500-ზე მეტი წარმომადგენლის მონაწილეობით. სოკ-ის ღირსების ორდენით სესიაზე დაჯილდოვეს ეკვადორის სახელმწიფოს ყოფილი პრეზიდენტი, არგენტინის, ბრაზილიის, ალჟირის, ინდოეთის, მონღოლეთის, ფილიპინების, ტაილანდის ეოკ-ების პრეზიდენტები. აგრეთვე კონტინენტური ასოციაციების ხელმძღვანელები. სწორედ ამ დაჯილდოებულთა შორისაა ემზარ ზენაიშვილი.

ვულოცავთ!

„ლელო" – „გუმათი".

## ნინომ ისევ პირველმა მოიპოვა ლიცენზია

თითქოს ტრადიციად იქცა: საქართველოს სპორტსმენებიდან, ვინც ოლიმპიური ლიცენზიისთვის იბრძვის, ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ყველაზე უწინ **ნინო სალუქვაძის** წილხვედრი ხდება. ასე იყო ამჯამადაც. ჩინეთის ქალაქ გუანჩჟოუში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ასპარეზობაში ნინომ IV ადგილი დაიკავა სპორტული პისტოლეტიდან სროლაში, მაგრამ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მაძიებელთა შორის წინ წაიწია. წესი ასეთია: თუ პირველი სამეულიდან ვინმეს უკვე მოპოვებული აქვს ლიცენზია, სამეულს მიღმა დარჩენილები იღებენ საგზურს. აქ კი გამარჯვებულს და ორივე პრიზიორს ადრე უკვე განაღდებული ჰქონდათ ლიცენზიები.



## ბრწყინვალე წარმატება ბულგარეთში



ოქროს – სამი, ვერცხლის – ერთი და ბრინჯაოს ოთხი მედალი – ასეთი მონაგარით დაბრუნდებიან ხვალ სამშობლოში ბულგარეთიდან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოჭიდავეები.

ხსენებული ქვეყნის ქ. პერნიკში ფილა-ს ეგიდით გამართულ ახალგაზრდულ საერთაშორისო ტურნირში, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ამ ასაკის ნაკრები მთავარი მწვრთნელის **ნუგზარ სხირელის** „კლასიკოსები" კი **ვლადიმერ ადეიშვილის** ხელმძღვანელობით გამოდიოდა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ფედერაციის გენერალური მდივანი **ომზარ შოშიტაშვილი.**

„თავისუფლებიდან" ტურნეს გამარჯვებულია თბილისელი **დავით მოძმანაშვილი** (96 კგ), მეორე იყო გორელი **ცოტნე ბარამიძე** (66), მესამე ადგილი კი წილად ხვდათ ქუთაისელ **მურთაზ კვესაძეს** (55), თბილისელებს **თორნიკე სვანიძეს** (74) და **გიორგი ნიკურაძეს** (მძიმე).

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორი გამარჯვებულია – ოზურგეთელი **კახა მექვაბიშვილი** (60), და თბილისელი **ილია გულბათაშვილი** (66). მესამე პრიზიორი გახდა რუსთაველი გენო ხელაია (96). ჩვენს ფედერაციაში მიიჩნევენ, რომ ავტორიტეტულ ტურნირში მიღწეული ასეთი მაღალი შედეგები ჩვენი სახელოვანი ფალავნების ღირსეული ცვლის გამოჩენაზე მიგვანიშნებს.

## უმაღლესი ლიგა

**XXIII ტური. ანონსი**

5 აპრილი, ოთხშაბათი

თბილისი – ტორპედო

ვიტ ჯორჯია – ამერი

ცხინვალი – ბორჯომი

დინამო (სოხ) – დილა

კოლხეთი1913 – დინამო (ბთ)

დინამო (თბ) – სპარტაკი

კახეთი – ლოკომოტივი

ზესტაფონი – სიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 22 | 17 | 3 | 2 | 41-15 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 16 | 4 | 2 | 42-12 | 52 |
| ზესტაფონი | 22 | 13 | 5 | 4 | 31-17 | 44 |
| დინამო (თბ) | 22 | 13 | 4 | 5 | 36-17 | 43 |
| ბორჯომი | 22 | 13 | 2 | 7 | 38-19 | 41 |
| ამერი | 22 | 13 | 2 | 7 | 27-15 | 41 |
| დინამო (ბთ) | 22 | 12 | 5 | 5 | 29-16 | 41 |
| ლოკომოტივი | 21 | 10 | 4 | 7 | 31-23 | 34 |
| კოლხეთი1913 | 22 | 8 | 4 | 10 | 20-23 | 28 |
| ტორპედო | 22 | 6 | 6 | 10 | 18-26 | 24 |
| კახეთი | 22 | 7 | 2 | 13 | 20-30 | 23 |
| დილა | 22 | 6 | 3 | 13 | 23-30 | 21 |
| ცხინვალი | 22 | 6 | 3 | 13 | 19-41 | 21 |
| დინამო (სხ) | 21 | 3 | 2 | 16 | 17-48 | 11 |
| სპარტაკი | 22 | 2 | 5 | 15 | 5-37 | 11 |
| თბილისი | 22 | 2 | 2 | 18 | 13-41 | 8 |

## გერმანული დესანტი სტადიონებზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** დაპირებისამებრ, სტადიონების პროექტირება-მშენებლობის გერმანელი სპეციალისტების ჯგუფით დაბრუნდა თბილისში. FIBIGER GMBX ცნობილი ფირმაა, რომელიც გერმანიასა და სხვადასხვა ქვეყნებში სტადიონების ინფრასტრუქტურის შექმნითაა დაკავებული. შაბათს ჩამოსული სტუმრები კვირას ეწვივნენ ეროვნულ და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებს, ნაკრების ტექნიკურ ცენტრს, გუშინ ზესტაფონს, ქანდის სამინდვრე მეურნეობის და საქართველოს მთავარი სპორტული ნაგებობების მდგომარეობის შესწავლას ჩვეული გულმოდგინებით შეუდგნენ.

ფირმის დამაარსებლის და ხელმძღვანელის **ფოლკერ ფიბიგერის** და მისი ჯგუფის წევრების განმარტებით, მათ მიერ ნანახ სტადიონებზე, საკმაოდ რთული მდგომარეობაა და ბევრი რამაა გასაკეთებელი. უპირველესი პრობლემა მინდვრების საფარია. გერმანელები თბილისიდან დღეს გაემგზავრებიან. შეგროვებულ ინფორმაციას და მასალებს შეისწავლიან და ამის მერე დადგინდება სამუშაოების დაწყების თარიღიც და მათი მოცულობაც. ფიბიგერის გარდა ჯგუფში შედიან ნიადაგის, გარემოს – ლანდშაფტის დაგეგმარების, მიწისქვეშა კომუნიკაციების ექსპერტ-სპეციალისტები. სტუმრები გაეცნენ სტადიონებზე უსაფრთხოების დაცვის წესებს და სტრუქტურასაც. ნოდარ ახალკაცის განცხადებით გერმანელების ავტორიტეტი და გამოცდილება საშუალებას მოგვცემს სტადიონების რეაბილიტაცია დროულად და ხარისხიანად განხორციელდეს. დადგინდება უპირველესად რისი გაკეთებაა აუცილებელი და მათი ფინანსური მოცულობაც.

## კალათბურთი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

**31 მარტი. ვერის ბაღის დარბაზი:** „ავიამშენი" – სსუ 83:45 (22:20, 25:7, 21:13, 15:5); „ნიკორა"-თსუ – „მაქაბი" 97:76 (26:14, 13:13, 33:19, 25:30); „დინამო" – „აზოტი" 82:85 (16:15, 21:30, 20:16, 25:24).

**გუშინ** ქუთაისში ადგილობრივმა „ქუთაისმა" მიიღო თბილისის „დინამო" – გაიმარჯვეს სტუმრებმა 97:90.

**დღეს ტურის სხვა მატჩებია.** ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში შეხვედრები გაიმართება ასეთი თანმიმდევრობით: სსუ – „აზოტი", სტუ – „მაქაბი", „ავიამშენი" – თსუ-„ნიკორა".

## ავტოსპორტი

## დაწინაურდა მოქმედი ჩემპიონი

რუსთავის ავტოდრომი კვლავ ახმიანდა. აქ გაიმართა სეზონის პირველი ასპარეზობა – ეროვნული ჩემპიონატის საწყისი ეტაპი წრიულ ავტორბოლაში. კვალიფიკაციაში მონაწილეთაგან პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად წარიმართა **ზურაბ ბეჟაშვილსა** და **არჩილ ბიძინაშვილის** შეუპოვარი პაექრობით. გამარჯვება საბოლოოდ წილად ხვდა მოქმედ ჩემპიონს ბეჟაშვილს, მეორე იყო ბიძინაშვილი, მესამე – **არსენ სარქისოვი** სომხეთიდან, მეოთხე – **დავით შაპირო,** მეხუთე – **ანზორ ბიწაძე,** მეექვსე – **ლადო კუხიანიძე.** ძირითად რბოლაში, რომელიც დაძაბულად წარიმართა, კვლავ ბეჟაშვილი მიიჭრა პირველი ფინიშთან, მეორე ისევ ბიძინაშვილი იყო, მესამე – შაპირო, მეოთხე **ერეკლე ცინცაძე,** მეხუთე – კუხიანიძე, მეექვსე – სარქისოვი, ბიწაძეს ამჯერად მეშვიდე ადგილი ხვდა.

ირაკლი სარალიძე,
რუსთავი.

## დარბაზი მთამსვლელებისთვის

პირველად საქართველოში







ამიერიდან საქართველოს მთამსვლელებს წლის ნებისმიერ დროს შეეძლებათ მთებში წაუსვლელადაც გაიარონ მარტივი მომზადება. გასულ შაბათს თბილისის ვერის ბაღში მდებარე ალპურ კლუბში (ჭადრაკის სასახლის I სართული) გაიხსნა დარბაზი მთამსვლელებისთვის ხელოვნური კედლით, რომელიც პროფესიონალ მთამსვლელთა გარდა მოემსახურება მოყვარულებს, უფასოდ იმეცადინებენ ბავშვები.

დარბაზის ხელოვნურ კედელზე სურვილისამებრ შეიძლება შეირჩეს რთული და შედარებით იოლად დასაძლევი მარშრუტი. ამ დღეს აქ საერთო ფიზიკურ მომზადებაში მრავალჭიდში ჩატარდა შეჯიბრება. მთამსვლელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიჩქარეზე ტრავერსის გავლასა და რთულ ცოცვაში. შემდეგ შეჯიბრებას აგრძელებდნენ ღერძზე მოზიდვაში, ცალ ფეხზე „ბეწვის ხიდზე" ჩაჯდომაში, იატაკიდან მკლავებზე აზიდვაში... მათ გამოსვლებს თვალყურს ადევნებდნენ საქართველოს მთამსვლელობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **გივი ქართველიშვილი** და ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის დირექტორი **ბიძინა გუჯაბიძე.** ეს მათი თაოსნობით და მეგობრების შემწეობით გაიხსნა სპეციალური სამთამსვლელო დარბაზი, რაც პირველია საქართველოში. ეს პირველი ასპარეზობაც მათი ეგიდით ჩატარდა.

აქამდე ხელოვნური კედელი მხოლოდ მეკლდეურებს ჰქონდათ.

მრავალჭიდში ადგილები ასე განაწილდა: 1. **გიორგი ხაბურზანია,** 2. **ლევან თათარაშვილი,** 3. **ლერი მიგურიანი** (სამივე – თბილისი).

ცოტნე ბაქრაძე.
ფოტოები ავტორისა .

**P.S. ვერის ბაღში ალპური კლუბის წინამდებარე ტერიტორია რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნაგვის საყრელად და ღამღამობით საეჭვო პირთა თავშეყრის ადგილადაა ქცეული. არადა, მას შემდეგ, რაც აქ მთამსვლელთა დარბაზი გაიხსნა, აუცილებელიც კი გახდა ღია სპორტული მოედნის მოწყობა. მით უმეტეს, რომ დარბაზში ბავშვებიც იმეცადინებენ. საერთოდაც, ვერის ბაღში ღია სათამაშო მოედანი, რაც ესოდენ საჭიროა, არ არის. ვიმედოვნებთ, ეს ადგილი, რომელსაც სურათზე ხედავთ, მალე კეთილმოწყობილ სპორტულ მოედნად იქცევა.**



## თურქეთში 17 მოჭადრაკით

გუშინ თურქეთის საკურორტო ქალაქ კუშადაში საზეიმოდ გაიხსნა და 17 აპრილამდე გასტანს ჭადრაკში ევროპის VII ინდივიდუალური ჩემპიონატი. ტურნირის საპრიზო ფონდია 78 ათასი ევრო. ტურნირი 11-რაუნდიანია და შვეიცარიული სისტემით ტარდება. 16 საუკეთესო ვაჟი და 12 ქალი მსოფლიო თასის საგზურს მიიღებს.

საქართველოდან ტურნირში 8 ვაჟი და 9 ქალი მონაწილეობს. **ვაჟები:** ზვიად იზორია, ბადურ ჯობავა, გიგა ყაჭეიშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, დავით არუთინიანი, კონსტანტინე შანავა, ლევან აროშიძე. **ქალთა შორის:** ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია-გრანტი, მაია ლომინეიშვილი, სალომე მელია, სოფიო გვეტაძე, ბელა ხოტენაშვილი და ანა გავაშელი.

## შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა: ბოლო წლებში ბევრს ლაპარაკობენ ფეხბურთში რასიზმის გამოვლენაზე. ჩვენთვის ეს უცხოა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ძნელად გასაგებიც. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამას წინათ მოხდა ესპანეთში, სრულად წარმოაჩინა სპორტში, კერძოდ, ფეხბურთში რასიზმის გამოვლენის საშინელება. ბარსელონელი თავდამსხმელი სამუელ ეტო,ო, ეს შესანიშნავი ფეხბურთელი ერთ-ერთ მატჩში რასიზმის სისასტიკის მსხვერპლი გახდა. მსგავსი შეურაცხყოფები კი ესპანეთის სტადიონებზე ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. რას აკეთებს ამ დროს ფიფა და უეფა?**

**ცოტნე კაკაბაძე, კახა ლეონიძე, თბილისი.**

პასუხი: საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციები მკაცრად ებრძვიან ფეხბურთში რასიზმის გამოვლენას. ფიფა აცხადებს, რომ რასისტული გულშემატკივრების საქციელისთვის საფეხბურთო კლუბები აგებენ პასუხს. უკვე ამოქმედდა შემდეგი წესი: პირველი რასისტული ინციდენტი კლუბს 3 ქულა დაუჯდება, მეორე – 6. რასისტული გამოხდომის განმეორება საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება და განაჩენი შეიძლება იყოს უმკაცრესი – უმაღლესი დივიზიონიდან მოკვეთა.

ევროტურნირებში ჩადენილი მსგავსი საქციელი ევროსარბიელიდან კლუბის ორი წლით ჩამოშორებას ითვალისწინებს.

# ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე

## ჩვენი ტაეკვონდო ევროპის ჩემპიონატის წინ

ტაეკვონდოსადმი ყურადღება, მას შემდეგ, რაც იგი სპორტის ოლიმპიური სახეობა გახდა, ჩვენში, ბუნებრივია, გაძლიერდა. ერთ-ერთი უპირველესი, ვინც ტაეკვონდოს საქართველოში დანერგვა ითავა, წარსულში ცნობილი კარატისტი **ავთანდილ მიქაძე** იყო. ამიტომაც არავის გაკვირვებია ტაეკვონდოს ფედერაციის თავკაცად მისი არჩევა. იდეალური პირობები გაგვაჩნია, ვერ ვიტყვით, მაგრამ ფედერაცია და მწვრთნელები არაფერს ზოგავენ ამ ოლიმპიური სპორტის სახეობაში წარმატებების მისაღწევად.

ნებისმიერი სპორტის სახეობის ბარომეტრი შინ თუ გარეთ ეროვნული ჩემპიონატია. გარეთ იმდენად, რამდენადაც ეროვნულ სარბიელზე შერჩეულებს, უწევთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამშობლოს სპორტული ღირსების დაცვა.

კარსაა მომდგარი ევროპის ჩემპიონატი. სწორედ ამ ტურნირის კანდიდატების შესარჩევად გაიმართა მარტის ბოლო დღეებში ეროვნული ჩემპიონატი ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში. საასპარეზოდ შეიკრიბა 150-მდე მონაწილე სამ ასაკში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.



მოზრდილთა ტურნირი გაიმართება მაისში, იუნიორებისა — ივნისში. ძირითადი ნაკრები შეჯიბრებაზე სრული გუნდით გაემგზავრება. იუნიორები კი მასპინძელი ქვეყნის (ვიეტნამი) სიშორით გამოწვეული სიძვირის გამო, ალბათ სიმბოლურად სამიოდე სპორტსმენით თუ იქნება წარმოდგენილი.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.**

**ვაჟები. 58 კგ:** 1. გიორგი ნიკოლაიშვილი, 2. ზაალ გვაზავა, 3. ნოდარ გოლეთიანი და ირაკლი მაღრაძე; **62 კგ:** 1. გურამ დავითულიანი, 2. კახა ახალაია, 3. ავთო კოდალაშვილი და ლაშა ლონაძე; **67 კგ:** 1. დავით ბუხრაძე, 2. ნოდარ ხუციშვილი, 3. გიორგი გლუნჩაძე და მირზა ყვავაძე; **72 კგ:** 1. აკაკი ცენტერაძე, 2. შოთა გოგჩიაშვილი, 3. ელმშან თალიბოვი და თემურ კვირაია; **78 კგ:** 1. ლევან ჰანტურია, 2. ზურაბ მენაბდიშვილი, 3. დავით კოპალიანი; **+84 კგ:** 1. იოსებ ოსაძე, 2. ნოდარ ბენდელიანი, 3. ირაკლი ჰანტურია და შოთა თოდაძე. **ჭაბუკები. 45 კგ:** 1. გიორგი დოლიაშვილი, 2. სერგო პეტროსიანი, 3. თორნიკე ჩალაური და მერაბ თევდორაშვილი; **48 კგ:** 1. ვახტანგ ჯაფარიძე, 2. დავით გვასალია, 3. ლევან პერტია და ზურაბ ხარაბაძე; **55 კგ:** 1. ემზარ თაგლი, 2. გელა ჯანგველიძე, 3. გიორგი მიქელშაია და არტიომ აგარონიანი; **59 კგ:** 1. ალეკო უშარაული, 2. ბექა ერაძე, 3. გოჩა ჯინჭარაძე და შალვა მაისურაძე; **63 კგ:** 1. ზაზა უმფრიანი, 2. გიორგი სანაია, 3. გიორგი გეგენავა და უჩა წულაია; **73 კგ:** 1. გოგა სიჭინავა, 2. ლევან შურღაია, 3. შოთა ჰანტურია და გიორგი წერეთელი. **კადეტები. 37 კგ:** 1. ბექა უმიკაშვილი, 2. შალვა ლვამბერია, 3. დაჩი მოტკოველი და ადიკ არჩვაძე; **43 კგ:** 1. იაკობ აბრალავა, 2. უჩა ოქრიაშვილი, 3. ნიკა ღურწკაია და ზურაბ ბურჭულაძე; **49 კგ:** 1. საბრი ავდალიანი, 2. ირაკლი კენჭიშვილი, 3. ნიკიტა მოგოლინი და ალექსანდრე გვასალია. **გოგონები. 50 კგ:** 1. გიტა ჩერქეზია, 2. დალი ვადაჭკორია, 3. ნინო რევია და ნათია შაქარაშვილი; **55 კგ:** 1. ნაზი ჭოჭუა, 2. ქრისტინე გუმბერიძე, 3. თეონა გოჩიაშვილი და სოფო თოფურია; **59 კგ:** 1. სალომე ტყეშელაშვილი, 2. ინგა ჭოჭუა, 3. ინგა ქავთარაძე და ანი სიხარულიძე.

## ოცდამეერთე ოლიმპიური თამაშები

1976 წლის 17 ივლისი — 1 აგვისტო, ამ პერიოდში გაიმართა XXI თამაშები კანადის ქალაქ **მონრეალში.** მონაწილეობდა 89 სახელმწიფოს 6043 სპორტსმენი, მათ შორის 1261 ქალი. ოლიმპიური მედალი გათამაშდა სპორტის 24 სახეობაში.

თამაშებში მონაწილეობაზე თავდაპირველად სურვილი განაცხადა 112-მა ქვეყანამ, მაგრამ ახალი ზელანდიის მიერ სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმისადმი მხარდაჭერის გამო, აფრიკის 33-მა სახელმწიფომ ბოიკოტი გამოუცხადა ოლიმპიურ თამაშებს.

გათამაშდა მედლების 196 კომპლექტი. საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა მოიპოვეს ყველაზე მეტი — 125 მედალი. ისინი პირველები იყვნენ ოქროს მედლების რაოდენობითაც — 49.

დამყარდა 17 ოლიმპიური და 37 მსოფლიო რეკორდი.

ვაჟ მძლეოსანთა შორის 100 მ. რბენაში პირველი იყო ჯუჯა სახელმწიფოს, ტრინიდადისა და ტობაგოს წარმომადგენელი **ხეისლი კროფორდი** (10,06). 200 მ. რბენა მოიგო იამაიკელმა **დონალდ კვორიმ** (20,23). ოლიმპიურ სარბიელზე პირველად გამოვიდა ლეგენდარული კუბელი სპორტსმენი **ალბერტო ხუანტორენა,** რომელიც უძლიერესი იყო 400 (44,26) და 800 (40,38) მ. რბენებში (მსოფლიო რეკორდი). ფინეთს სტაიერულ რბენებში ძველი ტრადიცია დაუბრუნა **ლასე ვირნენიმ.** იგი უძლიერესი იყო 5000 (13.24,76) და 10 000 (27.40,38) მეტრ რბენებში, მარათონში კი მეხუთე შედეგი აჩვენა. სიმაღლეზე ხტომა ოლიმპიური რეკორდით მოიგო პოლონელმა **იაცეკ ვშოლამ,** შუბის ტყორცნაში მსოფლიო რეკორდით პირველი იყო უნგრელი მიკლოშ ნემეტი (94,58, მსოფ. და ოლიმპ. რეკ.). ამერიკელმა ათჭიდელმა **ბ. ჯენერიმ** 8618 ქულით (მსოფ. და ოლიმპ. რეკ.) გაიმარჯვა, მისი თანაგუნდელი **ედვინ მოზესი** უძლიერესი იყო 400 მ. თარჯრბენში (47.64. მსოფ. და ოლიმპ. რეკ.). 3000 მ. დაბრკოლებით რბენაში გაიმარჯვა შვედმა **ანდრეს ერდერუდიმ** (8.08,02). მარათონი მოიგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა **ვალდემერ ცერპინსკიმ** (2:09.55,0).

მძლეოსან ქალთა ასპარეზობებში თავი ისახელეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა. მათ შორის **ტატიანა კაზანკინა** მსოფლიო რეკორდით პირველი იყო 800 (1.54,94) და 1500 (14.05,48) მეტრზე რბენებში.

კარგად გამოვიდნენ აგრეთვე გდრ-ის მძლეოსანი ქალები. მათ პროგრამის 14 დისციპლინიდან იმარჯვეს 9-ში. გერმანელთა კვარტეტმა მსოფლიო რეკორდით (3.19,23) მოიგო 4X400 ესტაფეტა. 200 მ. რბენაში **ბ. ეკერტის** მიერ ნაჩვენები შედეგი (22,37) მსოფლიო რეკორდი იყო. მისმა თანაგუნდელმა **როზემარ აკერმანმა** ოლიმპიური რეკორდით მოიპოვა პირველობა სიმაღლეზე ხტომაში (1.93 მეტრი).

ვაჟთა შორის ამერიკელმა მოცურავემ **ჯიმ მონტგომერიმ** სამი ოქროს მედალი მოიპოვა. იგი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით პირველი იყო თავისუფალი სტილით 100 მ (49,99), 4X100 ესტაფეტაში და 4X100 კომბინირებულ ცურვაში. მისი თანაგუნდელი **ჯონ ნეიბერი** მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით უძლიერესი გამოვიდა გულაღმა 100 (55,49) და 200 (1.69,19) მეტრ ცურვაში. 400 მ. კომპლექსური ცურვა მოიგო ასევე ამერიკელმა **როდ სტრონმა** (4.23,68 მსოფ. რეკ.).

დიდი წარმატებით გამოვიდნენ **გდრ-ის** მოცურავე ქალები. ისინი პროგრამის ცამეტი სახეობიდან უძლიერესები იყვნენ 11-ში.

**კორნელია ენდერი** პირველი იყო თავისუფალი სტილით 100 (55,65), 200 (1.59,26), 100 მ. ბატერფლაით (1.00,13) და 2X100 მ. კომპლექსურ ცურვაში. ყველა შედეგი ოლიმპიურ რეკორდს აჭარბებდა. მისმა თანაგუნდელმა **ულრიკე რიხტერმა** ყველას აჯობა 100 (1.01,83), 200 (2.13,43) მ. გულაღმა, და 4X100 მ. კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდით — 4.07,82.

200 მ. ბრასით ცურვა მოიგო სსრ კავშირის წარმომადგენელმა **მარინა კოშევაიამ** — 2.33,35 (მსოფლიო მიღწევა). ასევე მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვა თავისუფალი სტილით 4X100 ესტაფეტაში ამერიკელთა კვარტეტმა.

ტანმოვარჯიშე ვაჟთა შორის უძლიერესი იყო საბჭოელი **ნიკოლაი ანდრიანოვი.** მან ოთხი ოქროს მედალი (მრავალჭიდი, რგოლები, ბჯენითი ხტომა, თავისუფალი ვარჯიში), ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი მოიხვეჭა. იაპონელმა **სავაო კატომ** წინა ოლიმპიადაზე მიღებულ ჯილდოებს ამჟამად ორი ოქროს (გუნდური, ორძელი) მედალი დაუმატა.

ქალთა შორის უძლიერესი იყო რუმინეთის წარმომადგენელი **ნადია კომანეჩი** (მრავალჭიდი, ორძელი, დვირი). იგი ამავე დროს ყველაზე ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე იყო — 14 წლისა და 250 დღის. საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი **ნელი კიმი** ჩემპიონი გახდა თავისუფალ ვარჯიშში, ბჯენით ხტომასა და გუნდურ შეჯიბრებებში.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში მამაკაცთა და ქალთა შორის გათამაშდა მედლების 13 კომპლექტი. ცხრა სახეობაში გაიმარჯვეს გდრ-ის სპორტსმენებმა. „რვიანებში" ყველაზე ახალგაზრდა მესაჭე იყო 17 წლის **საბინა ჰესი.**

წყალში ხტომაში კოშკურა მოიგო იტალიელმა **კლაუს დიბიასიმ.** ქალთა შორის პირველი იყო საბჭოთა გუნდის წევრი **ელენა ვაიცეხოვსკაია.**

ძალოსნობაში შემოიღეს ახალი პროგრამა. მონრეალიდან მოყოლებული ყველა რანგის შეჯიბრება ტარდება ორჭიდში — ატაცსა და აკვრაში. თამაშებზე მედლები გათამაშდა ცხრა წონით კატეგორიაში. შვიდ კატეგორიაში პირველები იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები.

მძიმე წონოსანთა შორის, ისე როგორც 1972 წელს, პირველი იყო **ვასილი ალექსეევი.** მან ორჭიდში აჩვენა 440 კგ., დაამყარა ერთი მსოფლიო და ორი ოლიმპიური რეკორდი.

ბულგარეთის წარმომადგენელი, მსუბუქწონოსანი (56 კგ.) **ნონაირ ნურაკიანი** ორჭიდში 262,5 კგ-ით და მსოფლიო რეკორდით პირველი იყო.

საბჭოთა ძალოსნებმა **ნიკოლაი კოლესნიკოვმა, პეტრე კოროლმა, ვალერი შარიმ, დავით რიგეტმა, იური ზაიცევმა** და **ვ. ალექსეევმა** თამაშებზე დაამყარეს 15 ოლიმპიური და ერთი მსოფლიო რეკორდი. სულ თამაშებზე ძალოსანთა მიერ დამყარებული იქნა 20 ოლიმპიური და 2 მსოფლიო რეკორდი.







ხმლით მოფარიკავე ვაჟთა შორის გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენმა **ვიქტორ კროვოპუსკოვმა** (ორი ოქრო — პირადი, გუნდური). დაშნით მოფარიკავეთა შორის პირველი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი **ალექსანდრე პუში.** მას ვერცხლის მედალიც ერგო გუნდურ შეჯიბრებაში.

ქალთა შორის რაპირით ასპარეზობა მოიგო უნგრელმა **ილდიკო შვარცენბერერმა.**

მოკრივეთა შორის ოთხი ოქროს მფლობელები გახდნენ საბჭოთა მოკრივეები. მძიმე წონოსანთა შორის უძლიერესი გახდა კუბელი **თეოფილოს სტივენსონი.** ეს მისი მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი იყო. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 10 წონითი კატეგორიიდან შვიდში საბჭოთა ფალავნებმა იპირველეს. ერთ-ერთი მათგანი **სურენ ნალბანდიანი** 20 წლისა და 14 დღის იყო. ის ყველაზე ახალგაზრდაა „კლასიკოს" ჩემპიონთა შორის.

ველოსპორტში გამოდევნებით რბოლაში გაიმარჯვა გდრ-ის გუნდის წევრმა **გრეგორ ბრაუნმა.** გზატკეცილზე გუნდური რბოლა 100 კმ-ით საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა (2:08.53,0).

შესანიშნავმა ფრანგმა ველოსიპედისტმა ტრეკზე რბოლებში **დ. მონეროლიმ** ვერცხლის მედალი მოიპოვა სპრინტში და ამით დაამთავრა ოლიმპიური ბატალიები. ოლიმპიადებზე მან სულ მოიპოვა სამი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

ხელბურთელები, საბჭოთა გუნდის წარმომადგენლები **ლარისა კარლოვა** (17 წლის) და **იური კლიმოვი** (36 წლის) ყველაზე ახალგაზრდა და უხნესები არიან ოლიმპიადის ჩემპიონ ხელბურთელთა შორის.

საბჭოთა ფრენბურთელი ქალი **ინი რისკალი** მონრეალში ვერცხლს დაეუფლა. მას ფრენბურთელ ქალ ოლიმპიელთა შორის ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული (ორი — ოქრო, ორი — ვერცხლი).

საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში საქართველოდან 11 სპორტსმენი მონაწილეობდა.

თავისი მესამე ოქროს მედალი მოიპოვა სახელოვანმა **ვიქტორ სანეევმა,** მისი შედეგი სამხტომში 17,29 მეტრი იყო.

შვიდჯერ გამოვიდა საჭიდაო ხალიჩაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ლევან თედიაშვილი** და ექვსი შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა, მხოლოდ ერთ შეხვედრაში დაჯერდა ფრეს და მეორე ოქროს მედალს დაეუფლა.

საბჭოთა ვაჟმა ხელბურთელებმა ოქროს მედალი მოიპოვეს. გუნდში ერთ-ერთი წარმატებული მოთამაშე იყო ქართული ხელბურთის წარმომადგენელი **ალექსანდრე ანპილოგოვი.**

ქვემოთ მოგვყავს საქართველოდან ყველა წარგზავნილთა შედეგი:

**ლევან თედიაშვილი** — თავისუფალი ჭიდაობა, 90 კგ. — I ადგილი

**ალექსანდრე ანპილოგოვი** — ხელბურთი, გუნდური — I ადგილი

**ვიქტორ სანეევი** — მძლეოსნობა, სამმაგი ხტომა, 17,29 მ. — I ადგილი

**რამაზ ხარშილაძე** — ძიუდო. 93 კგ. — II ადგილი

**მიხეილ ქორქია** — კალათბურთი — გუნდური III ადგილი

**შოთა ჩოჩიშვილი** — ძიუდო. აბსოლუტური პირველობა — III ადგილი

**იგორ ომელჩენკო** — ცურვა. 4X100 კომბინირებული ესტაფეტა — V ადგილი 100 მ. გულაღმა ცურვა (58,77) — XIII ადგილი, 200 მ. გულაღმა ცურვა (2.07,95), — III ადგილი.

**ოლეგ ზურაბიანი** — ძიუდო. 63 კგ — გამოეთიშა პირველი წრიდან

**ვლადიმერ ისელიძე** — წყალბურთი. გუნდური — VIII ადგილი

**იგორ კუშპელიოვი** — ცურვა. 1500 მ. თავისუფალი სტილი — X ადგილი

**მარლენ პაპავა** — ტყვიის სროლა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტი, 50 მეტრი — XXVI ადგილი.

### 1976 წელი. ოცდამეერთე ოლიმპიური თამაშები

#### ქვეყნები და მედლები

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 49 | 40 | 35 | 124 |
| 2. გდრ | 40 | 42 | 23 | 85 |
| 3. აშშ | 32 | 36 | 25 | 93 |
| 4. გფრ | 9 | 12 | 17 | 38 |
| 5. იაპონია | 10 | 6 | 10 | 26 |
| 6. პოლონეთი | 6 | 7 | 12 | 26 |
| 7. ბულგარეთი | 6 | 9 | 7 | 22 |
| 8. კუბა | 6 | 4 | 3 | 13 |
| 9. რუმინეთი | 4 | 9 | 14 | 27 |
| 10. უნგრეთი | 4 | 5 | 13 | 22 |
| 11. ფინეთი | 4 | 2 | - | 6 |
| 12. შვედეთი | 4 | 1 | - | 5 |
| 13. დიდი ბრიტ. | 3 | 5 | 5 | 13 |
| 14. იტალია | 2 | 7 | 3 | 12 |
| 15. საფრანგეთი | 2 | 3 | 4 | 9 |
| 16. იუგოსლავია | 2 | 3 | 3 | 8 |
| 17. ჩეხოსლოვაკია | 2 | 2 | 4 | 8 |
| 18. ახალი ზელანდ. | 2 | 2 | 4 | 8 |
| 19. სამხ. კორეა | 1 | 1 | 4 | 6 |
| 20. მექსიკა | 2 | 1 | 1 | 4 |
| 21. შვეიცარია | 1 | — | 2 | 3 |
| 22. ნორვეგია | 1 | 1 | — | 2 |
| 23. იამაიკა | 1 | 1 | — | 2 |
| 24. დანია | 1 | — | 2 | 3 |
| 25. ტრინიდადი | 1 | — | — | 1 |
| 26. კანადა | — | 4 | 6 | 10 |
| 27. ბელგია | — | 3 | 3 | 6 |
| 28. ნიდერლანდები | — | 2 | 3 | 5 |
| 29. ესპანეთი | — | 2 | — | 2 |
| 30. პორტუგალია | — | 2 | — | 2 |
| 31. ავსტრალია | — | 1 | 3 | 4 |
| 32. ირანი | — | 1 | 1 | 2 |
| 33. მონღოლეთი | — | 1 | — | 1 |
| 34. ბრაზილია | — | — | 2 | 2 |
| 35. ვენესუელა | — | — | 1 | 1 |
| 36. ავსტრია | — | — | 1 | 1 |
| 37. პუერტო-რიკო | — | — | 1 | 1 |
| 38. პაკისტანი | — | — | 1 | 1 |
| 39. ბერმუდის კ-ბი | — | — | 1 | 1 |
| 40. ტაილანდი | — | — | 1 | 1 |
| 41. ჩინეთი | — | — | 1 | 1 |
| სულ | 197 | 196 | 212 | 605 |

### 1976 წელი. ოცდამეერთე ოლიმპიური თამაშები

#### სპორტის სახეობებში გათამაშებული მედლების რაოდენობა

| სპორტის სახეობა | ვაჟი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| 1. აკად. ნიჩბოსნობა | 8 | 6 | 14 |
| 2. აფროსნობა | 6 | — | 6 |
| 3. ბაიდარა, კანოე | 9 | 2 | 11 |
| 4. ბალახის ჰოკეი | 1 | — | 1 |
| 5. ველოსპორტი | 6 | — | 6 |
| 6. თანამედ. ხუთჭიდი | 2 | — | 2 |
| 7. კალათბურთი | 1 | — | 1 |
| 8. კრივი | 11 | — | 11 |
| 9. მძლეოსნობა | 23 | 14 | 37 |
| 10. მშვილდოსნობა | 1 | 1 | 2 |
| 11. სროლა | 7 | — | 7 |
| 12. ტანვარჯიში | 8 | 6 | 14 |
| 13. ფარიკაობა | 6 | 2 | 8 |
| 14. ფრენბურთი | 1 | 1 | 2 |
| 15. ფეხბურთი | 1 | — | 1 |
| 16. ცურვა | 13 | 13 | 26 |
| 17. ცხენოსნობა | 4 | — | 4 |
| 18. ძალოსნობა | 9 | — | 9 |
| 19. ძიუდო | 6 | — | 6 |
| 20. წყალბურთი | 1 | — | 1 |
| 21. წყალში ხტომა | 2 | 2 | 4 |
| 22. ჭიდაობა(ბერძ-რომ.) | 10 | — | 10 |
| 23. ჭიდაობა(თავისუფ) | 10 | — | 10 |
| 24. ხელბურთი | 1 | 1 | 2 |
| სულ | 147 | 49 | 196 |

დავით კინწურაშვილი,

გაგრძელება იქნება.

დასაწყ. „ლელო" №2-დან

## დებიუტანტი

### ვასო ქოქოსაძე

(ფეხბურთი)



**დაიბადა** 1995 წლის 17 სექტემბერს, თბილისში

**სიმაღლე** 150 სმ

**წონა** — 40 კგ

**სწავლობს** კოლეჯში, V კლასელია

**ი რ ი ც ხ ე ბ ა** „ნორჩ დინამოელში"

**ფეხბურთს** თამაშობს 2001 წლიდან

**პირველი** მწვრთნელია ჯონი ჯანელიძე

**ამჟამად** ვარჯიშობს რეზო ბარამიძესთან

**არის** თანატოლთა შორის ბაქოს ტურნირის გამარჯვებული

**ამპლუა** — მცველი

**გატაცებულია** პაროდიებით

**ფეხბურთში** მისი კერპია რონალდინიო.

**ქ. თბილისის სპორტის საქალაქო სამსახურის გ. კარტოზიას სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ცენტრის მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**

**ბურამ ბულადაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**პანაშვიდი 4, 5.04, 16 სთ. გამოსვენება 6.04, 14 სთ-ზე. მისამართი: დიღმის მასივი, III კვ. XX კორპ.**

**საქართველოს ხელბურთის ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი ხელბურთელი, ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი 1996-2005 წლებში**

**ალექსანდრე (ალიკო) კიკაბიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# ალექსანდრე (ალიკო) კიკაბიძე



ქართულ სპორტულ სამყაროს, მთელ საზოგადოებრიობას მოულოდნელად 61 წლის ასაკში გამოაკლდა კიდევ ერთი ცნობილი სპორტსმენი და შესანიშნავი პიროვნება, ქართული ხელბურთის ბრწყინვალე ხანის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი ალექსანდრე (ალიკო) კიკაბიძე.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ხელბურთის აყვავებისას მრავალ ახალგაზრდასთან ერთად ალიკო კიკაბიძე ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოსვლისას თბილისის „ბურევესტნიკის" რეზერვში მოიაზრებოდა, სადაც 1963 წელს ჩაირიცხა კიდეც. თამაშობდა „ხელბურთის პელედ" წოდებულ ჯემალ ცერცვაძის, სხვა გამოჩენილი ოსტატების – ანზორ ექსეულიძის, თამაზ ანთაძის, ჯემალ აბაიშვილის, ჯანო ბაგრატიონის, იმედო ფხაკაძის მხარდამხარ.

ათი წლის განმავლობაში იცავდა სტუდენტთა კოლექტივის ღირსებას, სამჯერ გახდა სსრკ ჩემპიონატის პრიზიორი.

სპორტის ოსტატმა ა. კიკაბიძემ „ბურევესტნიკში" პოპულარული მარცხენა ფრთა ლერი კარტოზია შეცვალა და მაყურებელს თავი დაამახსოვრა, როგორც უაღრესად შედეგიანმა თავდამსხმელმა. აღსანიშნავია მისი უდავოდ კარგი თამაში 1970 წელს გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე საერთაშორისო ტურნირში, სადაც ბომბარდირის პრიზით დააჯილდოვეს და საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს.

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სპეციალობით მუშაობდა სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში საგზაო ობიექტებზე. თავი გამოიჩინა როგორც მაღალკვალიფიციურმა ინჟინერმა. თუმცა, ხელბურთის მშობლიურ სამყაროსთან კავშირი არ გაუწყვეტია. სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში პასუხისმგებელ მდივნად მოღვაწეობდა. ოცნებობდა ჩვენი ხელბურთის საამაყო ტრადიციების აღდგენაზე. ა. კიკაბიძე იყო უაღრესად კეთილშობილი ადამიანი, ფიქრობდა მხოლოდ სიკეთეზე, გამოირჩეოდა პიროვნული ხიბლით, ნაცნობმეგობრებს უანგაროდ და დაუმადლებლად ედგა გვერდით.

ყველასათვის მძიმე გადასატანი იქნება ღირსეული პიროვნების ამქვეყნიდან სამუდამოდ წასვლით გამოწვეული ტკივილი.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ალიკო!

მეგობრების სახელით: ჯემალ ცერცვაძე, თენგიზ გაზდელიანი, მამუკა ხიერელი, ედუარდ ხინჩიკაშვილი, მერაბ ნინუა, თემურ ონიანი, სოლომონ პავლიაშვილი, ნუგზარ პერონიძე, დემიკო ლოლაძე.

# ბედი ფეხბურთისა და ბილეთისა...

მარტის ბოლოს რამდენიმე ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა აღინიშნა. როგორც ცნობილია, 1990 წლის 30 მარტს საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთში, რომელიც საზეიმოდ გახსნა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ**. გასულ პარასკევს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში უამრავი ხალხი შეიკრიბა ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავის და რეფერენდუმის ჩატარების დღის აღსანიშნავად. 15 წლისთავი შესრულდა სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო დღის დაწესებიდან, რაც საქართველოს რესპუბლიკის წინადადებით იქნა მიღებული. ოპერისა და ბალეტის თეატრში საზეიმო საღამო გაიხსნა ფრაგმენტებით საფეხბურთო თემაზე შექმნილი ცნობილი დოკუმენტური ფილმისა „პირველი ეროვნული" (რეჟ. ა. ქლენტი). ეს სიმბოლურიც იყო, რადგან საქართველოს ფეხბურთი ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს გამოეყო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას. ამ მოვლენამ კი ხელი შეუწყო ქვეყნის დამოუკიდებლობის დაჩქარებას. დიდი იყო ამ ფილმის ხილვით გამოწვეული ემოციური მუხტი. დარბაზში შეკრებილთაგან ბევრს მოჰგვარა თვალზე ცრემლი არცთუ შორეული წარსულის ამაღელვებელი კადრების ხილვამ.



| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველოს ეროვნული სტადიონი | | | |
| გილოცავთ პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნას | | | |
| იარუსი 2<br>სექტორი 40<br>რიგი 35<br>ადგილი 18 | დასავლეთი ტრიბუნა | 004733<br>ფასი 2 მან. 50 კაპ. | სერია |
| ამ ბილეთის მფლობელს უფლება აქვს დაესწროს სეზონის გახსნის მატჩს 2000 წელს! | | | |

ჩვენს ხელთაა 1990 წლის პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩის ბილეთი, რომელსაც თავში აწერია „გილოცავთ პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნას", ბოლოში კი — „ამ ბილეთის მფლობელს უფლება აქვს დაესწროს სეზონის გახსნის მატჩს 2000 წელს"!

ბედის ირონიით ეროვნულმა საფეხბურთო ჩემპიონატმა 2000 წლისთვისაც კი ვერ შეძლო აღორძინება, დაცარიელდა სტადიონები. ყველაზე შემაშფოთებელი კი ისაა, რომ ზემოხსენებულმა ბილეთმაც დაკარგა თავისი ხიბლი და, როცა ერთ გულშემატკივარს კონტროლიორისთვის ეს ბილეთი უჩვენებია, იმ კაცს თურმე სასაცილოდაც არ ეყო ფეხბურთის ქომაგის მიერ სიამაყით გაწვდილი ძველი ბილეთის ხილვა და მასზე დაფიქსირებული დაპირება...

# თვალსაჩინო წარმატება ირანში



ძმები (მარცხნიდან) — გიორგი ბახსოლიანი, ნიკოლოზ ბახსოლიანი, ზურაბ ბახსოლიანი.

ახლახან ირანის ქალაქ იაზდიში საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებმა იუნიორთა შორის მსოფლიო თასის გათამაშება „ა" კატეგორიის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. მონაწილეობდნენ ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ქუვეიტის, აშშ-ის, რუმინეთის და ბულგარეთის გუნდები. ჩვენგან ტურნირზე მივლინებული იყო 11 სპორტსმენი, 2 მწვრთნელი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **დავით სახვაძე**.

— ხმლით ფარიკაობაში მსოფლიო თასი მოიპოვა სპორტის აკადემიის III კურსის სტუდენტმა თბილისელმა **ნიკოლოზ ბახსოლიანმა** (მწვრთნელი **თამაზ კაკულია**), რომელმაც დაუმარცხებლად განვლო ყველა ტური. დაშნაში მესამე ადგილი ხვდა წილად თბილისელ **ჯემალ ჯიქიას**. ხმალში ფინალურ ჯგუფში იასპარეზეს ასევე თბილისელებმა **ზურაბ ბახსოლიანმა** და **კახაბერ მაღრაძემ**.

„დიდი ხანია საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებ გუნდს ოფიციალურ საერთაშორისო სარბიელზე ასე წარმატებით არ უასპარეზია", — თქვა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მორის სახვაძემ**. ფედერაცია (პრეზიდენტი **არჩილ გოგელია**) ყველაფერს აკეთებს ნაკრები გუნდის მისავლინებლად სხვადასხვა მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებაზე. ამჯერადაც ძირითადი ხარჯები ფედერაციამ გაიღო, ნაწილობრივ — სპორტის საქალაქო სამსახურმა.

ბოლო ხანებში მიღწეულმა შედეგებმა დაადასტურა, რომ ამჟამად იუნიორთა ნაკრებ გუნდში გვყავს ნიჭიერი მოფარიკავეები, რომელთაგანაც მომავალში მოველით თვალსაჩინო მიღწევებს, თუ მათ ექნებათ წვრთნის ნორმალური პირობები და მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაგეგმილ შეჯიბრებებში.

**ლუდვიგ დადანიძე,**
**საქ. დამსახურებული მწვრთნელი.**

# სუმოს ქართველი მიმდევრები

პროფესიულ სუმოში ქართველი ფალავნის **ლევან ცაგურიას (კოკაი)** გამოჩენამ საქართველოში ბევრს აღუძრა ინტერესი იაპონელი ხალხის ყოფის წიაღიდან წამოსული სპორტის ამ სახეობისადმი. მთელი მარტის განმავლობაში გულმოდგინედ ვადევნებდით თვალყურს **კოკაის** გამოსვლას უძლიერესთა კოჰორტაში. სამწუხაროდ, როგორც იცით, მარტის ბაშო ოსაკაში ჩვენებურმა უარყოფითი ბალანსით დაასრულა და ბოლოს ტრავმაც მიიღო.

იცით ისიც, რომ იაპონიაში კიდევ ერთი ქართველი გოლიათი (184 სმ; 153 კგ). **თეიმურაზ ჯუღელი** მოღვაწეობს და მიილტვის უმაღლეს დივიზიონში მოსახვედრად. ეს სპორტსმენი დოჰიოზე **გაგამარუს** სახელით გამოდის. კოკაისგან განსხვავებით ოსაკას ბაშო წარმატებული გამოდგა გაგამარუსთვის. 6-1 ასეთი იყო მისი დადებითი ბალანსი და რანგით მეოთხე დივიზიონშიც გადაინაცვლა. რას ნიშნავს ეს მიღწევა? — რეიტინგში წინსვლას, დაახლოებით 48-52-ის ფარგლებში.

რამდენმა ქართველმა ფალავანმა დაუკავშირა თავისი ბედი სუმოს? როგორც სუმოს ეროვნულ ფედერაციაში (პრეზიდენტი **თენგიზ რუხაძე**) გვითხრეს კოკაის და გაგამარუს გარდა ესენი არიან — ლევანის ძმა **გიორგი ცაგურია** და ლევან **გორგაძე**.



გამარჯვებული გუნდი და მათი გულშემატკივრები

## სამბო

# ალექსანდრე ტატიშვილის მემორიალზე

სრული დატვირთვით მუშაობს დიღმის, ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი თავისუფალი სტილის ვეტერან ფალავანთა შორის **ემზარ კიკაბიძე**) სასწავლებელი, სადაც ხშირად იმართება საინტერესო ასპარეზობები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში. ახლახან, ფალავანთა სამჭედლოში მოეწყო ჭიდაობის დიდი ტრფიალის **ალექსანდრე ტატიშვილის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი სამბოში, რომელშიც 1992-1994 წლებში დაბადებული 200-მდე ჭაბუკი მონაწილეობდა. მემორიალში „დინამოს", „მართვეს", ლევან თედიაშვილის სახელობის სპორტული კლუბის, „ვაკის", „შევარდენის", „ბოკვერის", „ისნის" და მცხეთის ახალბედები ცდიდნენ ძალებს. ქებას იმსახურებს ადგილობრივი სპორტკლუბის ჭიდაობა სამბოს განყოფილების უფროსი აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ელიზბარ ბიგანიშვილი**, რომელმაც დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ერთდღიანი მემორიალის მაღალ სპორტულ დონეზე ჩასატარებლად.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.**



**26 კგ:** 1. ილია შუბითიძე, 2. დათო პავლიაშვილი, 3. გუგა გრიგოლია და ვანო გაბინაშვილი; **29 კგ:** 1. ავთო მზარეულაშვილი, 2. ლაშა ჩანადირი, 3. გივი აფაქიძე და გიორგი ნავერიანი; **32 კგ:** 1. სოსო ცერცვაძე, 2. სულიკო სეთურიძე, 3. ილია ელიოზაშვილი და თორნიკე ხმალაძე; **35 კგ:** 1. ცოტნე მელაშვილი, 2. ომარ ნიაზაშვილი, 3. შაკო ცხვედიანი და გიგა სოზიაშვილი; **38 კგ:** 1. მურად მურადოვი, 2. უმუდ იდრისოვი, 3. ლექსო ნადირაშვილი და გიგა ბერიშვილი; **41 კგ:** 1. გოჩა გულბათაშვილი, 2. ლაშა ვეშაგური, 3. გიორგი ცერცვაძე და ბადრი გურჩინი; **45 კგ:** 1. თორნიკე ქუმსიაშვილი, 2. აჩიკო დამადაევი, 3. მიშიკო ოდოსაშვილი და ბექა ჭუჭულაშვილი; **50 კგ:** 1. გიორგი ლომიძე, 2. გიორგი ტერნესესოვი, 3. ანზორ ნოზაძე და ამირან ახმედოვი; **55 კგ:** შმაგი ყაჭიური, 2. ლაშა ნამორაძე, 3. ლაშა ყაჯრიშვილი და ირაკლი ბერიძე; **60 კგ:** 1. შმაგი ჯაჭვაძე, 2. ტარიელ დარძულიძე, 3. დათო მჭედლიძე და თორნიკე შაქარაშვილი; **65 კგ:** 1. დათო ზანდარაშვილი, 2. ლაშა ჯანანაშვილი, 3. ლექსო გონაშვილი და გიორგი ცხვარიაშვილი; **70 კგ:** 1. გიორგი მეხაშიშვილი, 2. გიორგი კოჭლამაზაშვილი, 3. შალვა ქობულაშვილი და ირაკლი ბენაშვილი; **75 კგ:** 1. დათო მერაბიშვილი, 2. გიორგი ბალიაშვილი, 3. გიორგი სეთურიძე და ლაშა ჯარიშვილი; **+75 კგ:** 1. ბექა აროშიძე, 2. ყარამან ღვინაძე, 3. ოთარ შუბითიძე და გიორგი მაისურაძე.



ფოტოები რობერტ ბაგოთიანისა

## სპორტი-ყველასათვის

# სპორტული სალამი პროფესორ-მასწავლებლებს!

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა (თავმჯდომარე **ი. ბეჟაშვილი**) ამ დღეებში ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა — თეიმურაზ სტეფანიას სახელობის თასზე პროფესორ-მასწავლებელთა ტურნირი მინიფეხბურთში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სამედიცინო და კავკასიის უნივერსიტეტების გუნდები. თანაბარი სიძლიერით ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ მედიკოსებმა დიდი ალმავლობით ითამაშეს მეორე ნახევარში და გაიმარჯვეს კიდეც 4-1. გუნდმა ეს წარმატება ამ უნივერსიტეტის ახალდანიშნულ რექტორს, პროფესორ **გია მენაბდეს** მიუძღვნეს.

ეს წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილია საფეხბურთო კლუბი, რომელსაც სათავეში უდგას ფიზაღზრდისა და სპორტის მედიცინის კათედრის უფროსი მასწავლებელი **ვახტანგ ბაქანიძე**. როგორც მან გვითხრა, ამ უმაღლეს სასწავლებელში ფეხბურთით პროფესორ-მასწავლებელთა დაინტერესება დიდად შეუწყობს ხელს საერთოდ უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა პაატა კიკაჩეიშვილს, მცველისა — **გია ქლენტს** (ორივე — კავკ. უნ.) ნახევარმცველისა — **გია აზმაიფარაშვილს**, ბომბარდირისა — **ირაკლი კურცხალიას**, საუკეთესო ფეხბურთელისა — **თემურ მახარაძეს**. გამარჯვებული და პრიზიორები დააჯილდოვა იროდი ბეჟაშვილმა, რომელსაც, სხვათა შორის, სწორედ იმ დღეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

# ძიუდო საჩხერეში

ოთხი გუნდი, ოთხი მწვრთნელი და 160 მონაწილე – ასეთი იყო ძიუდოში საჩხერის რაიონის პირველობის სავიზიტო ბარათი. საერთო გამარჯვება წილად ხვდათ საჩხერელებს (მწვრთნელი სოსლან იაკობაშვილი), მეორე იყო სოფ. ნიგვზარის (მწვრთნელი ჯემალ ბასილაძე), მესამე – სოფ. ჭორვილას (მწვრთნელი კობა ჯაფარიძე), მეოთხე კორბოულის (მწვრთნელი კობა ტეფნაძე) გუნდები.

პირველ ადგილზე გავიდნენ: გიორგი ხარშილაძე, ბექა გაფრინდაშვილი, გიორგი მაჭარაშვილი, გიორგი ტაბუცაძე (ყველა – სოფ. ნიგვზარა), რეზო სხირტლაძე, ანზორ ივანაშვილი (ორივე – ჭორვილა), გიორგი ტალახაძე, გიორგი ჭიღლაძე, ბექა ცუხიშვილი, ბესო ცუხიშვილი, გოგა კილაძე (ყველა – საჩხერე), როლანდ გოგატიშვილი (კორბოული).

გამარჯვებულები სამხარეო პირველობაზე იასპარეზებენ.

**თამაზ ლაშხი,**
„ლელოს" საკ. კორ.

„ლელოზე" ხელმოწერა გრძელდება

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას", „მაცნეს", „ინფოსერვისს", „უწყებანს".

ქართული ფეხბურთი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
გენერალური სპონსორი

# არც ერთი დღე უფეხბურთოდ!

მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში მიმდინარე ეროვნული პირველობა ქართული ფეხბურთის ქომაგებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ჩემპიონატი დღითიდღე იძაბება. მძაფრდება ბრძოლა ჩემპიონობისთვის და საპრიზო ადგილებისთვის. სიონელთა და ვიტელთა დაწინაურებული დუეტი სულ უფრო ზრდის უპირატესობას და შორდება კონკურენტებს. ოცდამეორე ტურში ორივემ გაიმარჯვა. თბილისელებმა დაუძაბავად მოუგეს ცხინვალელებს, ბოლნისელებმა დაგეგმილი სამი ქულის აღება **ბაჯელიძის** ერთადერთი გოლითაც მოახერხეს. ლოგიკური შედეგით დასრულდა კიდევ რამდენიმე შეხვედრა. ქუთაისში **კვერნაძის** გოლით გაიმარჯვა „ტორპედომ". ზესტაფონელებმა იოლად დაჯაბნეს დედაქალაქის „სპარტაკი". **თურმანიძის** სიჩაუქით გაიხარეს გამარჯვებას დანატრებულმა გორელებმა. უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა ბორჯომში. უხვგოლიან მატჩში მასპინძლებმა სტუმარ თბილისელ დინამოელებს ბოლო წუთებზე გამოგლიჯეს ხელიდან გამარჯვება. რუსი **ჩერნიშოვის** დამოძღვრილ „დინამოს" პრინციპულ მეტოქესთან ჯერ მატჩი არ მოუგია. თბილისელთათვის სამწუხარო ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. წაგებამ „დინამო" გათამაშების ცხრილში მესამე საფეხურიდანაც ჩამოაქვეითა. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს „ზესტაფონმა" გაასწრო. ლიდერთან ქულათა სხვაობა კი თერთმეტი ერთეულით გაიზარდა, რასაც „დინამოს" გაჩემპიონებას მიმდინარე პირველობაზე მსხვილი კითხვის ნიშანი დაუსვა. კვირას, სოხუმის „დინამომ" რკინიგზელებს უმასპინძლა „შევარდენზე" და დიდი ანგარიშითაც მოიგო. ოცდამეორე ტურიც ამ მატჩით დასრულდა, თუმცა, მეტოქეთა განლაგებაზე ცხრილში შეხვედრის შედეგს გავლენა არ მოუხდენია. ისევ მოიგო ბათუმის „დინამომ". ზღვისპირელებმა ამჯერად „ამერი" დააშამათეს.

განვლილი ტურის შთაბეჭდილებები არ განელებულა და აგერ, ხვალ, მორიგი, ოცდამესამე ტურის მატჩები გაიმართება. გამორჩეული შერკინება, რა თქმა უნდა, ზესტაფონში ჩატარდება. მესამე ადგილზე აღზევებული ფეროელები ლიდერ ბოლნისის „სიონს" უმასპინძლებენ. მეორე საფეხურზე მყოფი „ვიტ ჯორჯია" კი მცხეთაში თანაქალაქელ „ამერს" მიიღებს. მატჩების მნიშვნელობაზე და სირთულეზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ რვა ტური რჩება, პირველობა კი მძაფრსიუჟეტიან ფილმს ემსგავსება.

## მახარაძე ქორქიკაშვილმა შეცვალა

თბილისის „სპარტაკისა" და „ზესტაფონის" მატჩის წინ, სტუმართა გუნდში მწვრთნელი შეიცვალა. ზესტაფონელებმა სეზონი **თემურ მახარაძის** თავკაცობით დაიწყეს. რამდენიმე ხანში გუნდი **კობა ჟორჟიკაშვილმა** ჩაიბარა. იმხანად მახარაძე შვებულებაში გავიდა და გუნდში ნოემბერში დაბრუნდა. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ზესტაფონელები საკმაოდ კარგად ასპარეზობდნენ, მაგრამ... თემურ მახარაძე გუნდიდან მაინც გაუშვეს, რასაც რამდენიმე ვერსიას უკავშირებენ, თუმცა, ყოველივე ბურუსითაა მოცული. თემურ მახარაძე ასე უცერემონიოდ არაერთი კლუბიდან გაუშვიათ, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტი უგუნდოდ დიდხანს არ დარჩენილა, ახლაც მას რამდენიმე კლუბი ეპატიჟება. „ზესტაფონს" რაც შეეხება, იგი კვლავ კობა ჟორჟიკაშვილს ჩააბარეს, რომლის დებიუტი იღბლიანი გამოდგა. ზესტაფონელებმა სპარტაკელები 3-1 დაამარცხეს.

## მიდი-მოდი ქართულად

**სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა. მანამდე მოესწრო რამდენიმე საინტერესო ტრანსფერის განხორციელება. ექვსი ფეხბურთელი შეიძინა აუტსაიდერმა „თბილისმა". ბორჯომიდან გუნდს დაუბრუნდა ნახევარმცველი თორნიკე აფციაური. ხუთი ფეხბურთელით გაძლიერდა ქუთაისის „ტორპედო". დროული შევსება მიიღო გორის „დილამ". თუ რატომ აქტიურობდნენ ცხრილის ფსკერზე მყოფი და მათთან ახლოს მდგომი გუნდები, დიდი ახსნა არაა საჭირო. ყველა ცდილობს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას. თითოეულ ქულას მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.**

**თბილისის „დინამოდან" ნორვეგიაში წავიდა გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, ფორვარდი ლევან მელქაძე. იგი ნორვეგიის შარშანდელი ჩემპიონის „ვოლერენგას" ღირსებას დაიცავს. კონტრაქტი, ფაქტობრივად, სამწლიანია (1 პლუს 2). ერთი წლის შემდეგ მელქაძეს სკანდინავიურ გუნდში გაჩერება კიდევ ორი წლით შეეძლება. მას მე-14 ნომრიანი მაისური გადასცეს. ჩვენებურის ოფიციალური დებიუტი ვიკინგების გუნდში 9 აპრილს შედგება, როდესაც დაიწყება ნორვეგიის ჩემპიონატი. ლევან მელქაძე პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც ნორვეგიის ჩემპიონატში ითამაშებს.**

### მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დიმიტრი ბოკერიას ულოცავს ქალიშვილის მარიამის დაბადებას.

## მალტური განაცხადი

**რამდენიმე დღეში მალტაში გაემგზავრება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდი. ჩვენი ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო მატჩს გამართავენ მალტელ თანატოლებთან.** მატჩი 12 აპრილს ჩატარდება. საპასუხო — 26 აპრილს, ან თბილისში, ან ზესტაფონში. **რალფ მინგე,** რომელიც ახალგაზრდულ გუნდს მალტის მატჩში გაუძღვება, რამდენიმე დღეში დაასახელებს ნაკრების შემადგენლობას. მანამდე, ერთი კვირით ადრე, ქართველებთან საპაექრო შემადგენლობა გამოამზეურა მალტის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **მარკ მილერმა.** სიაში 28 ფეხბურთელია, მათგან ნაკრებში 20 დარჩება, სწორედ ისინი მოემზადებიან ქართველებთან მატჩისთვის. ორი მატჩის ჯამში, ამ წყვილში გამარჯვებული ნაკრები, მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე სერბებსა და ლიტველებს დაუპირისპირდება.

**მეკარეები:** ენდრიუ ჰოგი (პიეტა), მიგელ მონტფორტი (ვალეტა), ბერნარდ პარისი (ბირკირკარა);

**მცველები:** სტივენ ბეზინა (ვალეტა), ბრანდონ ბონიჩი (ვალეტა), დავით კამენძული (პიეტა), ჯონათან კარუანა (მოსტა), კლეიტონ ფაილა (ჰიბერნიანსი), დინ გერა (პიეტა), ჯოზეფ მიფსუდი (მსიდა), ალექს მუსკატი (შლიემა), ენდრიუ სპიტერი (პიეტა);

**ნახევარმცველები:** ანდრეი აგიუსი (მესინა), ელდმონდ აგიუსი (ჰიბერნიანსი), დისონ ფალზონი (მოსტა), პოლ ფენეხი (მსიდა), კლევონ ფრენდო (მარსალოკი), ჯონათან პირსონი (ჰიბერნიანსი);

**თავდამსხმელები:** მეტიუ ბარტოლო (მოსტა), ანგუს ბუჰაგიარი (ფლორიანა), ბენ კამილერი (ჰიბერნიანსი), რაიან ფენეხი (ჰამრუნი), ქილბერტ მარტინი (მარსა), ტერენს სკერი (ჰიბერნიანსი), ანდრე შემბრი (მარსალოკი), ენდრიუ სკერი (ქორმი), იან ძამიტი (ვალეტა), დილან ზარბი (ვალეტა).

## რეგიონალური ლიგა

**ცენტრალური. XXIV ტური**

ზოოვეტი — გორი 2-0
პეტროვიჩი — მეტეხი 2-0
ამირანი — ივერია 0-2
ბორჯომი2 — აკადემია 2-0
ჩიხურა2 — 35-ე სკ. 2-0

**დასავლეთი. სამეგრელო XIX ტური**

მგლები — დინამო (ზ) 3-0
თოლია — სქური 2-1
კოლხეთი (ხ) — სალხინო 1-1
სამეგრელო — კოლხეთი2 (ფ) 1-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სამეგრელო** | | | | | | |
| მგლები | 19 | 12 | 4 | 3 | 36-17 | 40 |
| კოლხეთი (ხ) | 19 | 11 | 5 | 3 | 34-16 | 38 |
| კოლხეთი2(ფ) | 19 | 10 | 4 | 5 | 42-25 | 34 |
| სქური | 18 | 10 | 2 | 6 | 35-21 | 32 |
| თოლია | 19 | 7 | 4 | 8 | 32-33 | 25 |
| დინამო (ზ) | 18 | 6 | 3 | 9 | 27-44 | 21 |
| სალხინო | 17 | 4 | 1 | 12 | 24-47 | 13 |
| სამეგრელო | 19 | 1 | 3 | 15 | 17-44 | 6 |
| **ცენტრალური** | | | | | | |
| ჩიხურა2 | 24 | 16 | 4 | 4 | 63-19 | 52 |
| ბორჯომი2 | 24 | 16 | 2 | 6 | 48-26 | 50 |
| ზოოვეტი | 24 | 15 | 4 | 5 | 37-18 | 49 |
| აკადემია | 24 | 14 | 2 | 8 | 46-23 | 44 |
| გორი | 24 | 10 | 5 | 9 | 41-37 | 35 |
| ივერია | 24 | 8 | 6 | 10 | 28-34 | 30 |
| 35-ე სკ. | 24 | 8 | 5 | 11 | 39-41 | 29 |
| ამირანი (თბ) | 24 | 9 | 1 | 14 | 24-36 | 28 |
| პეტროვიჩი | 24 | 4 | 5 | 15 | 23-59 | 17 |
| მეტეხი | 24 | 3 | 0 | 21 | 20-76 | 9 |

„ქართული ფეხბურთის" რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

## ხაჩიძე („ბორჯომი") – ჩერნიშოვი („დინამო" თბ) 4-2

პირველი გვერდიდან

საჯარიმო მოედანზე წაიქცა ბორჯომელი თავდამსხმელი, მაგრამ მსაჯმა სამართლიანად არ დანიშნა პენალტი. თამაში დაიძაბა. 33-ე წუთზე ფეხბურთელები შეძიძგილავდნენ. ამ დროს, მარცხენა ფლანგიდან გამოვარდნილმა აკობიამ მხეცურად ჰკრა ხელი დეპორასს და მიწაზე დასცა. მსაჯს მეტი არაფერი დარჩენოდა — წითელი ბარათი!

„დინამოდან" მხოლოდ მეგრელაძე იბრძოდა. დანარჩენები თამაშობდნენ. „ბორჯომი" განაგრძობდა შეტევებს და მე-40 წუთზე ბურნაძემ თავით გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 2-2.

ყველა ელოდა, რომ მასპინძლები გაანადგურებდნენ კაცნაკლულ „დინამოს", მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და „ბორჯომი" ჩაქრა, აკადემიურ თამაშზე გადავიდა, რაც ზუსტად 75-ე წუთამდე გაგრძელდა. ამის შემდეგ კი მასპინძლებმა კვლავ იფეთქეს და გრიგალივით დაატყდნენ სტუმრების დაცვას. 85-ე წუთზე მძიმე შეცდომა მოუვიდა სტურუას. მას თავისიანმა მიაწოდა ბურთი და იმის ნაცვლად, რომ ფეხით მოეგერიებინა, ხელში დაიჭირა. დაინიშნა საჯარიმო დარტყმა კარის ხაზიდან 8 მეტრში. მასპინძლებმა მარჯვედ გაითამაშეს და საჯაიამ უძლიერესი დარტყმით დააწინაურა „ბორჯომი" — 3-2.

ამის შემდეგ „დინამო" მოეშვა და პენალტით კიდევ ერთი გოლი მიიღო — 2-4.

ერთმა მაყურებელმა თქვა, ბოლომდე გახარებული მაინც არ ვარ, რადგან ასეთი „დინამოს" ხილვამ მძიმე ხასიათზე დამაყენაო. ძნელია, არ დაეთანხმო მას. მესხის, მეტრეველის, ხურცილავას, მაჩაიძის, ყიფიანის, გუცაევის, დარასელიას გუნდი ბორჯომთან აგებს შინ და სტუმრად. მასპინძლებზე საქებარის გარდა არაფერი ითქმის, გუნდი იბრძვის, დუღს და გადმოდის. იგრძნობა ახალი მწვრთნელის კვალიფიციური ხელი. „დინამომ" კი დატოვა არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებული გუნდის შთაბეჭდილება. არადა, დღეს იქ თავმოყრილია უნიჭიერეს ფეხბურთელთა მთელი პლეადა. გუნდი კი ვერ თამაშობს. რაშია საქმე? ამის თაობაზე ადრე ვწერდით „ლელოში", როდესაც „დინამოს" მთავარ მწვრთნელად ჩერნიშოვის დანიშვნას აპირებდნენ. ჩვენ ვაფრთხილებდით „დინამოს" ხელმძღვანელობას, რომ ეს ნაბიჯი სიკეთეს არ მოიტანდა. ახლაც გვინდა მათ კიდევ ერთხელ განვუცხადოთ: თბილისის „დინამოს" შველა იმ მწვრთნელის ხელშია, რომელიც გუნდს აბრძოლებს, უშეღავათოდ განაწყობს, შეძლებს ჩაუნერგოს საკუთარი თავის რწმენა, მწვრთნელი, რომელიც იქნება პროფესიონალი. ასეთი არის გია გეგუჩაძე, რომელსაც ჟორდანიასა და ახალკაცის შემდეგ ყველაზე დიდი მიღწევა ჰქონდა, როდესაც „დინამო" უეფას ტურნირზე გაიყვანა. შემდეგ, ფეხბურთელები გაუყიდეს და სახელდახელო შეკოწიწებული გუნდით შედეგი მოსთხოვეს (??). ისეთი ფეხბურთელებით კი, როგორებიც „დინამოს" ამჟამად ჰყავს, მწვერვალებს დაიპყრობს. რაც უფრო გადაიდება მისი „დინამოში" დაბრუნება, მით მეტად იმრავლებს ბორჯომული დამარცხებები...

...„ბორჯომის" მწვრთნელმა ვ. ხაჩიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „შესვენებაზე ფეხბურთელებს ვუთხარი, „დინამო" კაცნაკლულია, ათი ფეხბურთელის დაღლაზე იმუშავეთ და ბოლო 15 წუთში შეუტიეთო. ბიჭებმა დავალება შეასრულეს და მატჩის ბოლოს ორი გოლი გაიტანეს". იგი არ არის კმაყოფილი გუნდის ფიზიკური მომზადების დონით და ამის გამო მომავალში არ გამორიცხავს ჩავარდნას. თუმცა, ეცდება „ბორჯომი" ინტერტოტოზე მაინც „გააძვრინოს". წარმატება ვუსურვოთ ნიჭიერ მწვრთნელს და ძველ „ლელოელს", რომელიც მოუთმენლად ელის ჩვენი გაზეთის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.

რაც შეეხება ჩერნიშოვს, მან ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, ჩვენებურად, კულტურულად, დარეტიანებული რომ ეთქმის.

**ომარ ჩხეიძე, ბორჯომი.**

## უმაღლესი ლიგა. XXII ტურის სტატისტიკა

**თბილისი. 2 აპრილი. სტადიონი „შევარდენი". 500 მაყურებელი.**

**დინამო (სოხ) – ლოკომოტივი 4-1**

**დინამო:** ა. ლაბაძე, ამბიძე, ქვანია, ჭყოიძე, მაჩალაძე, მოლოდინი (მამფორია, 80), ბართია (დ. კახელიშვილი, 68), ი. ჰანტურია (მჭედლიშვილი, 82), გაგუა, ა. ნოზაძე, სიხარულიძე.

**ლოკომოტივი:** ლ. ლომიძე, ვ. გელაშვილი, ობგაიძე, ხორგუაშვილი, ბახტაძე (მეტრეველი, 68), თავბერიძე (კორიფაძე, 46), მ. ქლენტი, ბარბაქაძე, ჩივაძე, გ. ყიფიანი (მენაბდე, 64), რამონი.

**გოლები:** 1-0 ნოზაძე (3), 2-0 გაგუა (10), 2-1 ქლენტი (25), 3-1 ჰანტურია (64 პ), 4-1 მაჩალაძე (71).

**გააფრთხილეს:** ობგაიძე (64).

**გააძევეს:** ჩივაძე (76).

**მსაჯი:** ა. ნონიკაშვილი (თბილისი).

**ქუთაისი. 1 აპრილი. სტადიონი „ტორპედო". 1500 მაყურებელი**

**ტორპედო – კახეთი 1-0**

**ტორპედო:** ჰურაძე, ბერუაშვილი, დარსანია (ხურცილავა, 46), ზ. ჩხეტიანი, რ. კვერნაძე (ლაღაძე, 77), გამეზარდაშვილი, პარამონოვი, კორღალიძე, დოლონაძე, გ. ყიფიანი (გორგოძე, 70), მ. ლონლაძე.

**კახეთი:** ცინაძე, ტარუღაშვილი, კობაიძე, ი. მაღლაფერიძე, ნ. დავითაშვილი, კველიშვილი (ტეტიაშვილი, 84), გიორგობიანი, როსტიაშვილი (კუპრაშვილი, 75), სოსელია, დ. ბურდული, კობახიძე.

**გოლი:** 1-0 კვერნაძე (73).

**გააფრთხილეს:** როსტიაშვილი (75), კველიშვილი (84).

**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი).

**ბორჯომი. 1 აპრილი. ჯ. ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონი. 5000 მაყურებელი**

**ბორჯომი – დინამო (თბ) 4-2**

**ბორჯომი:** მამალაძე, ე. საჯაია, ა. ბურნაძე (ვ. გოჩაშვილი, 46), ბაქრაძე, მემარნიშვილი, მესხი, სანიკიძე, გეწაძე (შ. ჯიქია, 78), სებალე, დეპორასი, ლ. მერებაშვილი.

**დინამო:** სტურუა, ამბროზიო, გიგაური, შაშიაშვილი, აკობია, ლ. ახალაია (ბობოხიძე, 10), ლ. ნოზაძე, კ. მახარაძე (უ. ლობჟანიძე, 80), ვ. დარასელია, მეგრელაძე, ჯ. დვალი (ჭუმოკლიძე, 42).

**გოლები:** 0-1 მეგრელაძე (3 პ), 1-1 სებალე (10), 1-2 მეგრელაძე (18), 2-2 ბურნაძე (41), 3-2 საჯაია (85), 4-2 სანიკიძე (89 პ).

**გააფრთხილეს:** საჯაია (8), მახარაძე (10), დეპორასი (20), ბურნაძე (41), ჭუმოკლიძე (81).

**გააძევეს:** აკობია (38).

**მსაჯი:** ლ. სილაგავა (თბილისი).

**თბილისი. 1 აპრილი. სტადიონი „შევარდენი". 500 მაყურებელი**

**„სპარტაკი" – „ზესტაფონი" 1-3**

**სპარტაკი:** ნაფეტვარიძე, გაგნიძე (მალიჩავა, 60), ჯანგიძე, იმნაიშვილი, ტაბუცაძე, მაისაშვილი, მოდებაძე, ჯიბლაძე, კ. შალამბერიძე (დ. მაღლაფერიძე, 58), ოქროშიაშვილი (დანელია, 80), ხუბუა.

**ზესტაფონი:** გ. ჰანტურია, ხიდეშელი, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი, თურმანიძე, განუგრავა, გ. ჰელიძე (ბენაშვილი, 80), ნუდნი (ბ. ნოზაძე, 64), ფიფია (ბ. გოცირიძე, 74), იმედაძე, იონანიძე.

**გოლები:** 0-1 იმედაძე (56), 1-1 მაღლაფერიძე (63), 1-2 იმედაძე (67), 1-3 განუგრავა (69).

**გააფრთხილეს:** ნუდნი (17).

**მსაჯი:** გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი).

**ბოლნისი. 1 აპრილი. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი. 1000 მაყურებელი**

**სიონი – თბილისი 1-0**

**სიონი:** ბათიაშვილი, კობაური, ლ. ჰელიძე, ჰიჭვეიშვილი, რაქვიაშვილი (კვიტაიშვილი, 60), ხმალაძე, ბაჯელიძე (დ. სვანიძე, 88), ვ. უგრეხელიძე, ა. ალავიძე, მ. ხუციშვილი, მიკუჩაძე (გურბიენკო, 65).

**თბილისი:** მ. ალავიძე, მიქაშვილი, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, გუშარაშვილი (ბერიძე, 55), აფციაური, ბესარაშვილი, ვ. კვარაცხელია, სახვაძე, ხოჯავა (ბარამიძე, 80), ზირაქიშვილი (რევაზ ბარაბაძე, 68).

**გოლი:** 1-0 ბაჯელიძე (20).

**გააფრთხილეს:** მიკუჩაძე (10), ხოჯავა (20), ზირაქიშვილი (42), აფციაური (44), უგრეხელიძე (78).

**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მცხეთა. 1 აპრილი. სტადიონი „არმაზი". 200 მაყურებელი**

**ვიტ ჯორჯია – ცხინვალი 3-0**

**ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი (ებანოიძე, 64), ლ. რაზმაძე, ზ. სახოკია (კვალინაძე, 62), დილმელაშვილი (გ. მელქაძე, 53), ღუქაშვილი.

**ცხინვალი:** გიზო შენგელია, აკოფიანი (ფერსაევი, 46), ხაჭაპურიძე, მაისურაძე, ხოხობაშვილი, მ. თაყაძე, კ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, ვ. თაყაძე (გ. ახალკაცი, 70), დათვაძე (სულთანიშვილი, 56), მძინარიშვილი.

**გოლები:** 1-0 გ. დათუნაიშვილი (22), 2-0 ფეიქრიშვილი (35), 3-0 სახოკია (50).

**გააფრთხილეს:** ჯაფარიძე (30), ხაჭაპურიძე (30), ხანიშვილი (41).

**მსაჯი:** ო. ხეცაძე (თბილისი).

**თბილისი. 1 აპრილი. სტადიონი „ამერი". 1000 მაყურებელი**

**ამერი – დინამო (ბთ) 0-1**

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გ. კვახაძე, ბერიანიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე, დოლიძე, დეკანოსიძე (დობროვოლსკი, 46), კოშკაძე (სილაგავა, 46), სევასტოპულო (ა. კაიდარაშვილი, 80), ს. დავითაშვილი.

**დინამო:** თოთლაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, მ. ლომიძე, გვაზავა (თ. უგრეხელიძე, 80), ქებაძე, სეთურიძე (ექონია, 56), რ. ონიანი, ტიაგო, რ. ჯიქია, დვალიშვილი.

**გოლი:** 0-1 ქებაძე (83).

**გააფრთხილეს:** ტიაგო (51), დოლიძე (53), ბოლქვაძე (73), ლომიძე (75), დობროვოლსკი (84).

**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**გორი. 1 აპრილი. თ. ბურჯანაძის სახელობის სტადიონი. 400 მაყურებელი**

**დილა – კოლხეთი 1-0**

**დილა:** თ. ილურიძე, დ. მაისურაძე, გვარუციძე, გალოგრე, მასურაშვილი, საყვარელიძე, შატაკიშვილი, კუტალია (ტლაშაძე, 70), ჯოხაძე (ალ. ლაბაძე, 58), კობახიძე, დ. თურმანიძე (ვაჩეიშვილი, 78).

**კოლხეთი:** ლატარია, ქობულაძე, ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, ზ. რაზმაძე (წიქარიშვილი, 46), ნარსია (ზ. ქუთათელაძე, 46), მარგალიტაძე, კრასოვსკი, ვართაგავა (გოჩალეიშვილი, 85), გ. კილასონია, ზ. ჯანაშია.

**გოლი:** 1-0 თურმანიძე (60).

**გააფრთხილეს:** მარგალიტაძე (51), ლაბაძე (90).

**მსაჯი:** [illegible] (თბილისი).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი, მრავალი წლის განმავლობაში სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის წევრი, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ინსპექტორ-დამკვირვებელი რევაზ ჩოლაჩავა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები. **ინგლისის პრემიერლიგის** 32-ე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა ლონდონის „ჩელსიმ" სტუმრად ვერ მოახერხა „ბირმინგემის" დამარცხება — 0-0.

**ამ შეხვედრაში რომან აბრამოვიჩის გუნდი შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა:** ჩეხი, დელ ორნო (კრესპო, 64), კარვალიუ, ფერეირა, ტერი, დაფი (ჯო კოული, 64), ლემპარდი, მაკელელე, დროგბა, გუდიონსენი (ესიენი, 88), რობენი.

„ჩელსის" შეფერხებით ისარგებლა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელმაც სტუმრად 2-1 სძლია „ბოლტონს" და ერთპიროვნულ ლიდერთან ქულათა სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა. მანჩესტერელთაგან ბურთები გაიტანეს საამ და ვან ნისტელროიმ.

**„მანჩესტერ იუნაიტედი":** ვან დერ საარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ვიდიჩი, გიგზი, რიჩარდსონი, ფლეტჩერი (ვან ნისტელროი, 61), რონალდო (პაკი, 90), რუნი, საა.

ლონდონის „არსენალმა" საკუთარ მოედანზე გაანადგურა „ასტონ ვილა". ორი ბურთი ანრიმ გაიტანა, თითოჯერ თავი გამოიჩინეს ადებაიორმა, ვან პერსიმ, დიაბიმ.

**„არსენალი":** ლემანი, ებუე (ჯურუ, 67), სენდეროსი, კოლო ტურე, ფაბრეგასი (დიაბი, 15), ფლამინი, სილვა, პირესი, ანრი (ვან პერსი, 65), ადებაიორი, რეიესი.

„ლივერპულმა" ორი უპასუხო ბურთი გაუტანა „ვესტ ბრომვიჩს" — 2-0. თავი გამოიჩინეს ფაულერმა და სისემ.

**„ლივერპული":** რეინა, ჰიუიპია, კარაგერი, ფინანი, ხავი ალონსო, კიუელი, რიისე, სისოკო, კრაუჩი (მორიენტესი, 71), სისე (კრომკამპი, 78), ფაულერი (ლუის გარსია, 65).

**სხვა შეხვედრები:** „მანჩესტერ სიტი" — „მიდლსბრო" 0-1, „ვესტ ჰემი" — „ჩარლტონი" 0-0, „ევერტონი" — „სანდერლენდი" 2-2, „ფულემი" — „პორტსმუთი" 1-3, „ნიუკასლი" — „ტოტენჰემი" 3-1.

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 32 | 25 | 4 | 3 | 60-19 | 79 |
| მან. იუნაიტედი | 32 | 22 | 6 | 4 | 64-30 | 72 |
| ლივერპული | 33 | 20 | 7 | 6 | 47-22 | 67 |
| ტოტენჰემი | 32 | 15 | 10 | 7 | 46-32 | 55 |
| არსენალი | 31 | 16 | 5 | 10 | 53-23 | 53 |

## «ბარსელონა» თითქმის ჩემპიონია

**გერმანიის ბუნდესლიგის** 28-ე ტურში ლევან კობიაშვილის „შალკე" საკუთარ მოედანზე 0-2 დამარცხდა „ჰამბურგთან". 57-ე წუთზე ვან დერ ვაარტმა გახსნა ანგარიში, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი აილტონმა გამოიჩინა თავი.

**ამ შეხვედრაში „შალკეს" შემადგენლობა ასეთი იყო:** როსტი, ბორდონი, კრსტაიჩი, რაფინია, ერნსტი, კობიაშვილი, ლინკოლნი, პოულსენი (ჰამით ალთინთოფი, 69), ვარელა, ასამოა (სანდი, 80), კურანი (ლარსენი, 65).



„ბაიერნმა" საკუთარ მოედანზე ფრედ დაასრულა შეხვედრა „კიოლნთან" — 2-2. საინტერესოა, რომ მიუნხენელები ორჯერ აგებდნენ და ორივეჯერ ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. სანიოლისა და მაკაის მიერ გატანილი ბურთების წყალობით. ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა. მეორე ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა.

**„ბაიერნი":** კანი (რენსინგი, 46), ისმაელი, ლუსიო, სანიოლი, ლამი, ჰარგრივზი, სალიჰამიჯიჩი (შვაინშტაიგერი, 75), ზე. რობერტო (შოლი, 72), ბალაკი, გერერო, მაკაი.

ბრემენის „ვერდერმა" სტუმრად კლოზეს მიერ ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანის წყალობით სძლია „აინტრახტს".

**„ვერდერი":** ვიზე (ფანდერი, 29), ნალდო, ფარენჰორსტი, პასანენი, შულცი, ვრანიეში, ბოროვსკი, იენსენი (ოვომოელა, 64), მიკუ, ვალდესი (კლასნიჩი, 46), კლოზე.

**სხვა შეხვედრები:** „ჰანოვერი" — „არმინია" 0-1, „ჰერტა" — „შტუტგარტი" 2-0, „ლევერკუზენი" — „კაიზერსლაუტერნი" 5-1, „მიონხენგლადბახი" — „დორტმუნდი" 2-1, „ნიურნბერგი" — „მაინცი" 3-0, „ვოლფსბურგი" — „დუისბურგი" 1-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 28 | 20 | 6 | 2 | 56-22 | 66 |
| ჰამბურგი | 28 | 18 | 5 | 5 | 45-22 | 59 |
| ვერდერი | 28 | 17 | 5 | 6 | 62-32 | 56 |
| შალკე | 28 | 14 | 10 | 4 | 39-25 | 52 |
| ჰერტა | 28 | 10 | 10 | 8 | 42-37 | 40 |

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** 31-ე ტურში შედგა „სუპერკლასიკად" წოდებული მატჩი. „კამპ ნოუზე" „ბარსელონამ" მადრიდის „რეალს" უმასპინძლა. მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა.

ანგარიში 22-ე წუთზე გახსნა რონალდინიომ, რომელმაც ზუსტად შეასრულა მსაჯის მიერ „რეალის" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი. 25-ე წუთზე „სამეფო კლუბი" 10 ფეხბურთელით დარჩა მოედანზე. მსაჯმა რობერტო კარლოსი გააძევა. აღსანიშნავია, რომ მთავარ არბიტრს კანტალიეხოს ამ შეხვედრაში ყვითელი ბარათის ამოღება სულ 9-ჯერ მოუხდა.

კაცნაკლულმა „რეალმა" პირველ ტაიმშივე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება — თავი რონალდომ გამოიჩინა. მეორე ტაიმში ბურთი აღარ გასულა.

**გუნდების შემადგენლობა. „ბარსელონა":** ვალდესი, პუიოლი (გაბრი, 89), ინიესტა, ოლეგერი, ვან ბომელი (ქიული, 57), დეკუ, მოტა (ბელეტი, 40), ვან ბრონკჰორსტი, რონალდინიო, ეტო'ო, ლარსონი.

**„რეალი":** კასილიასი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, სისინიო, სერხიო, ბექჰემი, ბაპტისტა, ზიდანი (გრავესენი, 79), გუტი (პაბლო გარსია, 90), რონალდო, რობინიო (მეხია, 53).

„ვალენსიამ" 5-3 დაამარცხა „კადისი". **სხვა შეხვედრები:** „ოსასუნა" — „ხეტაფე" 0-4, „დეპორტივო" — „რასინგი" 2-0, „ალავესი" — „ბილბაო" 0-0, „მალიორკა" — „ესპანიოლი" 0-0, „ატლეტიკო" — „სელტა" 0-3, „ბეტისი" — „სევილია" 2-1, „სოსიედადი" — „მალაგა" 3-0, „სარაგოსა" — „ვილიარეალი" 0-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 31 | 21 | 6 | 4 | 70-27 | 69 |
| რეალი | 31 | 17 | 7 | 7 | 56-28 | 58 |
| ვალენსია | 31 | 15 | 11 | 5 | 44-28 | 56 |
| ოსასუნა | 31 | 17 | 4 | 10 | 41-37 | 55 |
| სევილია | 31 | 15 | 6 | 10 | 39-32 | 51 |

**იტალიის სერია „ა"-ს** 32-ე ტურში კახი კალაძის „მილანი" 0-1 დამარცხდა სტუმრად „ლეჩესთან". ეს ერთადერთი ბურთი მილანელთა კარში კინანმა გაიტანა.

**„მილანი":** დიდა, კალაძე, მალდინი, შიმიჩი (კაფუ, 60), ამბროზინი, იანკულოვსკი, რუი კოშტა, პირლო (ზეედორფი, 55), ფოგელი, ჯილარდინო, ამოროზო (ინძაგი, 56).

ორი ქულა დაკარგა ერთპიროვნულმა ლიდერმა ტურინის „იუვენტუსმა", რომელმაც სტუმრად ფრედ 0-0 ითამაშა „ტრევიზოსთან".

**„იუვენტუსი":** ბუფონი, კანავარო, კიელინი (ბალცარეტი, 70), კოვაჩი, კამორანეზი (ჯანიკედა, 79), ემერსონი, ვიეირა, ძამბროტა, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი (სალაიეტა, 63), მუტუ.

„ინტერმა" 3-0 დაამარცხა „მესინა". ორი ბურთი სოლარიმ გაიტანა, ერთხელ მარტინსმა გამოიჩინა თავი.

**„ინტერი":** სეზარი, ბურდისო, მატერაცი (რეკობა, 76), მიხაილოვიჩი, ვომე გონსალესი, პისარო (კამბიასო, 83), სოლარი, ძანეტი, კრუზი (როდრიგესი, 68), მარტინი.

**სხვა შეხვედრები:** „უდინეზე" — „პარმა" 2-0, „სამპდორია" — „კალიარი" 1-1, „რეჯინა" — „სიენა" 1-1,



„პალერმო" — „ასკოლი" 1-1, „ლაციო" — „ემპოლი" 3-3, „ფიორენტინა" — „რომა" 1-1, „კიევო" — „ლივორნო" 2-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 32 | 24 | 7 | 1 | 61-20 | 79 |
| მილანი | 32 | 22 | 4 | 6 | 70-26 | 70 |
| ინტერი | 32 | 21 | 5 | 6 | 59-24 | 79 |
| ფიორენტინა | 32 | 18 | 7 | 7 | 53-35 | 70 |
| რომა | 32 | 17 | 9 | 6 | 58-32 | 68 |

**საფრანგეთის ჩემპიონატის** 32-ე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლიონმა" სტუმრად 1-0 დაამარცხა „ტრუა". ეს ერთადერთი ბურთი ტიაგუმ გაიტანა 76-ე წუთზე.

**სხვა შეხვედრები:** „ტულუზა" — „რენი" 0-1, „ლე მანი" — „ნანსი" 0-0, პსჟ — „ბორდო" 3-1, „ლილი" — „ოსერი" 1-1, „მეცი" — „ლანსი" 0-1, „ნანტი" — „მარსელი" 1-3, „ნიცა" „ სტარსბური" 3-1, „სოშო" — „აიაჩო" 3-1, „სტ. ეტიენი" — „მონაკო" 1-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 32 | 21 | 9 | 2 | 57-23 | 72 |
| ბორდო | 32 | 16 | 12 | 4 | 34-19 | 60 |
| ლილი | 33 | 14 | 12 | 7 | 45-23 | 54 |
| რენი | 33 | 17 | 2 | 14 | 42-43 | 53 |
| ლანსი | 33 | 12 | 16 | 5 | 40-28 | 52 |

## ლემპარდი: „დარწმუნებული ვართ, რომ ჩემპიონები ვადამდე გავხდებით"

ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველმა ფრენკ ლემპარდმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ის გუნდთან ერთად ინგლისის ჩემპიონი გახდება „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრამდე.

„მართალია ბოლო შეხვედრებში ვკარგავთ ქულებს, მაგრამ მაინც გავხდებით ჩემპიონები". — თქვა ლემპარდმა. შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისათვის სხვაობა „ჩელსსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის 7 ქულამდე შემცირდა.



## ლუი საა: „ჩემპიონობისათვის ბრძოლა „ჩელსისთან" მხოლოდ ახლა იწყება"

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები ფიქრობენ, რომ „ჩელსის" ჩემპიონად ჩათვლა ნაადრევია. საინტერესოა, რომ ბოლო ოთხ შეხვედრაში რომან აბრამოვიჩის გუნდმა მხოლოდ 7 ქულა მოაგროვა, მანჩესტერელებმა კი ზედიზედ მერვე მატჩი მოიგეს.

„დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლია დავეწიოთ „ჩელსის". ჩვენ კარგ სპორტულ ფორმაში ვიმყოფებით და ფეხბურთს დამაჯერებლად ვთამაშობთ".

## საფეხბურთო ტალღაზე

◆ რამდენიმე დღის წინ იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „შალკესა" და დანიის ნაკრების ნახევარმცველი კარიერის გაგრძელებას „მილანში" აპირებდა. ეს კი არადა, ჟურნალისტები ამ ტრანსფერს განხორციელებულად ასაღებდნენ - აქაოდა, „ხუმარები" პოულსენთან კონტრაქტის გაწყვეტისთვის 900 ათასი ევროს ოდენობის კომპენსაციას მიიღებენო. იმასაც ამბობდნენ, ფეხბურთელმა „როსონერის" ხელმძღვანელებს პრინციპული თანხმობაც უთხრაო.

გუშინ კი ახალი ინფორმაცია გავრცელდა - პოულსენისთვის ბრძოლაში „ინტერი" და „იუვენტუსიც" ჩაებნენო. მილანის „შავ-ლურჯი" კლუბი დანიელ შუახაზელს ყოველწლიური ხელფასის სახით 2,3 მილიონ ევროს სთავაზობს, მაშინ, როცა „მილანის" წინადადება 2 მილიონს გულისხმობდა.

◆ მადრიდის „რეალის" ინგლისელი ნახევარმცველის დევიდ ბექჰემის თქმით, მისთვის სულ ერთია, თუ ვის დანიშნავენ „სამეფო კლუბის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

„პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი სპეციალისტი იქნება „რეალის" დამრიგებელი? არც ისაა გადამწყვეტი, ვიცნობ ამ კაცს თუ არა, - აღნიშნა ინგლისის ნაკრების კაპიტანმა. - ბოლო სამი წლის განმავლობაში „რეალს" ისეთი სპეციალისტები თავკაცობდნენ, რომლებთან ერთადაც მანამდე არ მიმუშავია. მთავარია, ეს კაცი საქმის მცოდნე იყოს და ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. რაც შეეხება სვენ-გორან ერიქსონს, მის კანდიდატურას მხარს ვუჭერ. კარგი იქნება, თუკი „რეალის" საჭეს მას ანდობენ. შვედი სპეციალისტი ერთ-ერთი უძლიერესია იმ მწვრთნელთა შორის, რომლებთანაც ოდესმე მიმუშავია".

◆ „იუვენტუსი" მცველი ჯორჯო კიელინი მიიჩნევს, რომ ლონდონის „ჰაიბერიზე" განცდილი მარცხის მიუხედავად, „ბებერ ქალბატონს" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის შანსი არ დაუკარგავს. ახალგაზრდა მცველის აზრით, ჩემპიონთა ლიგა მისი კლუბისთვის პრიორიტეტული ტურნირია.

„ტურინში შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა გვმართებს. ჩვენ „იუვენტუსის" ღირსებას ვიცავთ, რაც უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას გვავალდებულებს. თუკი „დელე ალპიზე" ორგანიზებულად ვითამაშებთ, „არსენალის" დამარცხება არ გაგვიჭირდება", - იმედოვნებს კიელინი.

◆ ლონდონის „არსენალის" მთავარი მწვრთნელის აზრით, ტიერი ანრი თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელია. „ნებისმიერი ფეხბურთელის შეძენის უფლება და სახსრები რომ მქონოდეს, გაურკვეველ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდი. ტიერი ანრი საუკეთესოა და ეს ფეხბურთელი ისედაც ჩემს განკარგულებაშია. თუკი საუკეთესო ფეხბურთელი ისედაც ჩვენთანაა, რა საჭიროა მისი შეცვლა? არ ვიცი, დარჩება თუ არა ტიერი ჩვენს კლუბში. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ მისი დარჩენა ძალიან მსურს. დანარჩენი თავად ანრის გადასაწყვეტია, თუმცა, თითქმის 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ტიერი გაისადაც „არსენალის" მაისურით იბურთავებს", - მიაჩნია ვენგერს.

◆ ბოლო ხანს ბრიტანულ პრესაში ვრცელდებოდა ხმები, თითქოს იტალიური „სიენას" თავდამსხმელი რეი ვოლპატო „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას აპირებდეს, თუმცა, სინამდვილეში ახალგაზრდა ფეხბურთელს ნისლიან ალბიონზე გადაბარგების პერსპექტივა არ ხიბლავს - ვოლპატო ტურინის „იუვენტუსის" მაისურის მორგებაზე ოცნებობს.

რეი „ბებერი ქალბატონის" საკუთრებას წარმოადგენს, „სიენაში" კი განათხოვრების წესით გამოდის.

„იუვენტუსის" წევრობაზე ბავშვობიდან ვოცნებობ - მე ხომ პადოვაში გავიზარდე, ქალაქში, რომელმაც მსოფლიოს ალესანდრო დელ პიერო აჩუქა! ყველაფერს ვიღონებ, რათა „იუვეს" ფანებს თავი ისევე შევაყვარო, როგორც ეს ალექსმა შეძლო, - ამბობს იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული ვოლპატო. - მართალია, დღეს ამაზე მხოლოდ ვოცნებობ, მაგრამ დროთა განმავლობაში ასეთ პატივს აუცილებლად დავიმსახურებ. ამაში ლიუჯი დე კანიოს ნდობაც მეხმარება - „სიენას" დამრიგებელი გუნდის ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად მათამაშებს".

◆ ლონდონის „არსენალის" ფრანგმა ნახევარმცველმა რობერ პირესმა, შესაძლოა, გუნდი შეიცვალოს. ფრანგ ფეხბურთელს კონტრაქტი სეზონის დასრულებისას ეწურება და სურვილი აქვს „კანონირებთან" ხანგრძლივ შეთანხმებას მიაღწიოს, მაგრამ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა 30 წელს მიღწეულ ფეხბურთელებს მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტებს სთავაზობს, რაც 32 წლის ვეტერანს არ აკმაყოფილებს.

თავად პირესმა განაცხადა, რომ, თუ კლუბის ხელმძღვანელობა შეთავაზებულ პირობებზე არ წამოვა, მზადაა მოლაპარაკებები სხვა გუნდებთან აწარმოოს. პირველადი ინფორმაციით პირესმა, შესაძლოა, ესპანური „ვილეარეალის" მაისური მოირგოს.

◆ შაბათის „ელ კლასიკომ" დიდი გამოხმაურება ჰპოვა. შეხვედრის არბიტრმა ლუის მედინა კანტალეხომ ესპანურ გაზეთ „ასს" განუცხადა: „რობერტო კარლოსი იმიტომ გავაგდე, რომ მან მე და ჩემს თანაშემწეს უცენზურო სიტყვებით მოგვმართა".

თანაგუნდელი და თანამემამულე მადრიდელთა ფორვარდმა, რონალდომ დაიცვა: „შეხვედრის შემდეგ ჩემთან საუბარში რობერტომ დაიფიცა, რომ მსაჯისთვის არაფერი უკადრებია, ამიტომ კანტალეხოს გადაწყვეტილება უცნაურად მეჩვენება. ჯერ ერთი, კარლოსს მისთვის არაფერი უკადრებია, და მეორე, გადაჭედილი „ნოუ კამპის" გუგუნში, როგორ გაიგონა მსაჯმა მისი სიტყვები?"

რეფერის მიმართ საყვედური გამოთქვა იკერ კასილიასმაც: „ჩვენს კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი გამოგონილი იყო. რაც შეეხება კარლოსის გაძევებას, რობერტოს პიროვნებიდან გამომდინარე, არა მგონია, მას მსაჯისთვის რამე ეკადრებინა. ვფიქრობ, კანტალეხოს ეს მოქმედება იმით იყო გამოწვეული, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯთა სიაში ვერ მოხვდა".

◆ „მესინას" პრეზიდენტი პიეტრო ფრანცა გაოცებულია „სან სიროზე" შეკრებილი მაყურებლის რასისტული გამონათქვამებით.

„მე ვერ გავიგე, რატომ იგონებენ წესებს, თუ მას არავინ დაიცავს. კარგად მესმოდა მაყურებელთა გამონათქვამები და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ეს აქცია წინასწარ იყო დაგეგმილი. მეტოქისთვის ქულების ჩამორთმევას და ჩვენზე მონიჭებას ნამდვილად არ ვითხოვ. უბრალოდ, მინდა, რომ ასეთ შემთხვევებში მსაჯებმა შეხვედრა შეწყვიტონ და არ მისცენ მაყურებელს სიტყვიერი „ოსტატობის" დემონსტრირება", - განაცხადა ფრანცამ.

◆ „მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელმა ნახევარმველმა კრისტიან რონალდომ განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა პრიმერადივიზიონში.

„ჩემთვის დიდი პატივი იქნება მადრიდის „რეალში" თამაში, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ, პრემიერლიგა საუკეთესო ჩემპიონატია მსოფლიოში, ამასთან, „მანჩესტერთან" კონტრაქტი 2010 წლამდე მაკავშირებს", - დასძინა მანვე.

# ნბა



## ფაჩულიას გარეშე...

გუშინ გაიმართა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები. ზაზა ფაჩულიას „ატლანტა" სტუმრად 11 ქულის სხვაობით 87:98 დამარცხდა „მემფისთან". სტუმართა შემადგენლობაში აქტიურობდნენ სმიტი და ჰერინგტონი.

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" 104:88 დაამარცხა „ჰიუსტონი". გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში ბრწყინავდა კობი ბრაიანტი, რომელმაც 43 ქულა მოაგროვა. „დალასმა" 103:79 სძლია „დენვერს", რაც გერმანელი კალათბურთელის დირკ ნოვიცკის დამსახურებაა. მან „დალასს" 30 ქულა შესძინა და 12-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. „მაიამი" 78:90 დამარცხდა „ნიუ ჯერსისთან". ვერ დაეხმარა გუნდს შაკილ ო'ნილი, რომელმაც 18 ქულა მოაგროვა და 9-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. რაც შეეხება „ნიუ ჯერსს", ამ გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო კარტერი, რომლის ანგარიშზე 43 ქულაა.



**სხვა შეხვედრები:** „დეტროიტი" — „ფინიქსი" 109:102, „მინესოტა" — „გოლდენ სტეიტი" 106:104 (დ.დ.), „ფილადელფია" — „ნიუ-იორკი" 114:95, „შარლოტა" — „კლივლენდი" 97:101. „ტორონტო" — „ნიუ-ორლეანი" 113:120 (დ.დ.), „სიეტლი" — „პორტლენდი" 122:83, „საკრამენტო" — „კლიპერსი" 106:96.

აღმოსავლეთ კონფერენციაში კვლავ „დეტროიტი" ლიდერობს. ამ გუნდმა 68 ჩატარებულ შეხვედრაში 54 გამარჯვება იზეიმა. 45 მოგებით მეორე ადგილზეა „მაიამი". ისევ მეცამეტე ადგილზეა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა", რომლის აქტივში 22 მოგებაა.

დასავლეთ კონფერენციაში პირველობისთვის ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობს. „სან-ანტონიოს" 53 მოგება აქვს 68 შეხვედრაში, ხოლო „დალასს" — 52.

## ფედერერმა მაიამის ტურნირი მოიგო

მაიამიში დასრულდა ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 3.45 მილიონი დოლარი იყო. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჟე ფედერერი და ხორვატი ივან ლუბიჩიჩი. დაძაბულ ბრძოლაში ფედერერმა იმარჯვა, 7:6, 7:6, 7:6 და მთავარ პრიზს დაეუფლა.

## „რენოს" ტრიუმფი გრძელდება

„ფორმულა-1"-ის წლევანდელი სეზონის მესამე ეტაპი — ავსტრალიის გრან პრი „რენოს" პილოტმა, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ მოიგო. აღსანიშნავია, რომ მელბურნში გამართული რბოლა გამორჩეული იყო უსაფრთხოების მანქანის ხშირი გამოჩენით. რამდენიმე პილოტმა უხეში შეცდომა დაუშვა, მათ შორის, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმაც. „ფერარის" პილოტმა ფინიშამდე ვერ მიაღწია. ფინიშის ხაზამდე რამდენიმე მეტრი იყო დარჩენილი, როცა ჯენსონ ბატონის ბოლიდის ძრავა აალდა. სტარტიდანვე ფერნანდო ალონსოს ჯენსონ ბატონი აედევნა. მათ მისდევდნენ „მაკლარენის" პილოტები ხუან პაბლო მონტოია და კიმი რაიკონენი. მათ შორის გაცხარებული ბრძოლა გაიმართა და კინაღამ ორივე პილოტი ტრასას გასცდა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ლიდერების უკან მყოფნი შეეცადნენ დაწინაურებას. პირველივე მოსახვევში კრისტიან კლინი დაეჯახა ფელიპე მასას, რომლის ბოლიდმაც თავის მხრივ დააზიანა ნიკ რეზბერგის მანქანა. ასევე იან ტრულის მოუვიდა შეჯახება დევიდ კულტჰარდთან და აქ გამოჩნდა პირველად უსაფრთხოების მანქანა. განმეორებითი სტარტის შემდეგ ალონსო დაწინაურდა. არც ბატონი თმობდა პოზიციებს, რომელიც თავის მხრივ წინ არ უშვებდა კიმი რაიკონენს. დაძაბული მომენტები რამდენჯერმე შეიქმნა. საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, რბოლა ალონსომ მოიგო. მისი შედეგია 1 საათი, 34 წუთი და 27,87 წამი. კიმი რაიკონენი გამარჯვებულს 1,8-ით ჩამორჩა, ხოლო მესამე ადგილზე გასული „ტოიოტას" პილოტი რალფ შუმახერი 24,8 წამით. ფინიშამდე ვერ მიაღწიეს: მონტოიამ („მაკლარენი"), მონტეირიუმ („მიდლანდი"), ლიუისიმ („ტორო როსი"), მიხაელ შუმახერმა („ფერარი"), მარკ ვებერმა („უილიამსი"), კრისტიან კლინმა („რედ ბული"), ნიკ როდბერგმა („უილიამსი") და ფელიპე მასამ („ფერარი").





## რეიტინგში ტოპალოვი დაწინაურდა

ფიდეს მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში პირველ ადგილზე ბულგარელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვია, რომელსაც 2804 ქულა აქვს. ტოპალოვი ერთი ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ინდოელ ვიშვანათან ანანდს. მათ გარდა, პირველ ათეულში შედიან: 3. არონიანი (სომხეთი) — 2756, 4. სვიდლერი (რუსეთი) — 2743, 5. ლეკო (უნგრეთი) — 2738, 6. პონომარიოვი (უკრაინა) — 2738, 7. მოროზევიჩი (რუსეთი) — 2730, 8.კრამნიკი (რუსეთი) — 2729, 9. გელფანდი (ისრაელი) — 2727, 10. ივანჩუკი (უკრაინა) — 27 23.

საუკეთესო 50 მოჭადრაკე ვაჟთა შორის ერთადერთი ქართველია ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2669 ქულით 35-ე ადგილზეა.

## ტაისონი მაო ძე-დუნის მავზოლეუმს ეწვია



ჩინეთში მოგზაურობს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, პროფესიონალი მოკრივე მაიკ ტაისონი. კვირას ის მაო ძე-დუნის მავზოლეუმს ეწვია. ჟურნალისტებთან საუბარში მაიკ ტაისონმა აღნიშნა, რომ ჩინეთის ყოფილი ლიდერის სხეულის გვერდით საკუთარი თავი არარაობად იგრძნო. საინტერესოა, რომ ტაისონს ხელზე სწორედ მაო ძე-დუნის პორტრეტი აქვს გამოსახული.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**4 აპრილი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. „მილანი" — „ლიონი" (22.40). „ვილიარეალი" — „ინტერი" (1.30). ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (1.00). **НТВ плюс спорт.** „ჰარმონიის ფორმულა" (10.25). ჰოკეი (10.45). პროგრამა „ექო" (13.30). კალათბურთი. ქალები. ჩემპიონთა ლიგა (16.15). სნოუბორდი. მსოფლიო თასის გათამაშება (18.15). ბილიარდი (19.00). აფროსნობა. მოგზაურობა დედამიწის გარშემო (21.30). „სპორტული სოლო" (22.00). კალათბურთი. ფიბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (23.45). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „მონრეალი" — „ბოსტონი" (3.30). EUROSPORT. სნოუბორდი. მსოფლიო თასის გათამაშება (10.30). ფრისტაილი (11.00). ფეხბურთი. ევროგოლები (11.30). კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ (14.00). მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (14.15). ჩემპიონთა ლიგა. პირველი მეოთხედფინალური მატჩები განმეორებით (16.30, 19.30). ველოსპორტი. პრო-ტური (17.30). ფეხბურთი. პროგრამა „გოლი" (21.30). ავტომოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (21.30). კრივი (22.30).

**5 აპრილი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. „იუვენტუსი" — „არსენალი" (2.40). „ბარსელონა" — „ბენფიკა" (1.30). ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (1.00). **НТВ плюс спорт.** ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (10.45). „სპორტული სოლო" (13.50). კალათბურთი. ქალები. ევროლიგა (14.30). ფიბა-ს მატჩების მიმოხილვა (16.45). აფროსნობა (17.15). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „იუტა" — „სან ანტონიო" (18.45). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „მონრეალი" — „ბოსტონი" (21.30). ნჰლ-ის გუნდები: „ნიუ-იორკი" (23.45). ფიგურული ციგურაობა. კურტ ბრაუნინგისა და ანდრეა ბოჩელის შოუ (0.35). სპორტის აკვატორია (3.40). ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. „სან-პაულუ" — „გვადალახარა" (4.00). EUROSPORT. ექსტრემალური სპორტი (10.30). ფეხბურთის ახალი ამბები (11.00). მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები (11.30). კერლინგი (12.30). ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.30). ველოსპორტი (17.30). აფროსნობა (21.15). გოლფი. ევროტური (21.30). კიკბოქსინგი (1.00). ფეხბურთი. უეფას თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები (2.30).

**6 აპრილი ხუთშაბათი**

**НТВ плюс спорт.** „ჰარმონიის ფორმულა" (10.35). ჰოკეი (10.45). ნჰლ-ის გუნდები: „ნიუ-იორკი" (17.15). ბილიარდი (14.00). ფიგურული ციგურაობა, კურტ ბრაუნინგისა და ანდრეა ბოჩელის შოუ (16.15). ბეისბოლი (18.45). კალათბურთი. ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (21.30). კვირის მიმოხილვა (22.00). ფრენბურთი. გადაცემა „ექვსი ექვსზე" (22.45). ცხენოსნობა. კონკური. რუსეთის ჩემპიონატი (23.15). აფროსნობა (1.35). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „რეინჯერსი" — „ნიუ-იორკი" (3.00). EUROSPORT. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (10.30). ექსტრემალური სპორტი (11.00). ფეხბურთი. უეფას თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები განმეორებით (11.30, 19.00). კერლინგი (12.30). ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00). ველოსპორტი (17.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30). ფეხბურთი. უეფას თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები.

## თარიღი

### დაიბადნენ:

**4 აპრილი**

**იანიკ პერო** (1971) — კანადელი ჰოკეისტი, „ტორონტოს" ფორვარდი.

**ემერსონი** (1976) — ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი.

**5 აპრილი**

**ფედორ მედვედი** (1943) — წარსულში ცნობილი კიევის „დინამოს" ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი.

**კირსან ილიუმჟინოვი** (1962) — ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტი.

**მარიუშ ლეკეტუში** (1964) — უნგრელი ფეხბურთის ვარსკვლავი 80-იან წლებში.

**ელენა ელესინა** (1970) — რუსი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში.

**კიმ სუ ნიუნგი** (1971) — კორეელი სპორტსმენი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი სროლაში.

**ფერნანდო მორიენტესი** (1976) — ესპანელი ფეხბურთელი.

**არნო ტურნე** (1978) — ველომრბოლი, ოლიმპიური ჩემპიონი.

**6 აპრილი**

**ანტონ გორნკი** (1934) — ჰოლანდიელი ძიუდოისტი. პირველი არაიაპონელი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა სპორტის ამ სახეობაში.

## კვიმატი ობიექტივი



## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. საქართველოს ინგლისური ტრანსკრიფცია, 3. ლეგენდარული რუსი ჰოკეისტი, 5. მადრიდის საფეხბურთო კლუბი, 10. პოლონელი ფეხბურთელი, მცველი — მაქსიმ ... 11. მეზობელი ქვეყნის დედაქალაქი, 14. ჯარის ძველქართული სახელწოდება, 15. ცნობილი უკრაინელი ვეტერანი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 16. ხელოვნური ან ბუნებრივი წყალსაცავი, 18. ძიუდოისტის ჩასაცმელი, 20. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 21. ტყვიის სროლაში ოლ. ჩემპიონი (1972) კორეელი (კდრ) სპორტსმენი, 24. ქართველი ოლ. ჩემპიონი, ფრენბურთელი, 25. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 26. ცნობილი არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი.

**შვეულად:** 2. ჭადრაკში თამაშის ბოლო სტადია, 4. კარატეს ტერმინი, 6. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 7. საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრი, გარდაბნელი სპორტსმენი, 8. საფეხბურთო მწვრთნელ ჟაკეს სახელი, 9. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, იბრაჰიმ, 12. ფეხბურთელ გომეშის სახელი, 13. ქუთაისის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ცნობილი ალპინისტი, 16. რბოლის დისტანცია, 17. ცნობილი ქართველი მოფარიკავე, ვეტერანი, 18. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი; 19. ცნობილი საბჭოთა (ლიტველი) ვეტერანი მოფარიკავე ვაჟი, 22. „მილანის" ფეხბურთელი, 23. ნარნარი ფრენა.

## საჭადრაკო ამოცანა

### ნ. გავაშელაშვილი



შამათი 2 სვლაში

№24-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეde3!
1..... კ:e7+ 2. მg3X, 1..... ე:e7+ 2. მ:e7X, 1..... de 2. მ:d4X

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 5. „ვილიარეალი", 9. ტყიბუჩავა, 12. რანგი, 13. გეზი, 14. დარასელია, 15. ისანი, 16. „ოდრა", 17. ფოთი, 20. ალი, 22. „მეცი", 24. რინგი, 27. პა, 28. კორნერი, 30. კაპიტანი, 35. თამასა, 36. ფილიპე, 38. ფიასკო, 39. ვილი, 40 იური, 41. უზანგი, 42. ანა.

**შვეულად:** 1. სტადიონი, 2. ვენგერი, 3. გურზი, 4. შვედეთი, 6. ლიპსო, 7. აიალა, 8. ლანჩავა, 10. ფინიში, 11. ფრო, 12. რაი, 17. ფიცარნაგი, 18. „გორდა", 19. ჩანგი, 21. ლიპი, 23. ბერლინი, 25. ისა, 26. ჩოგანი, 29. ნიაზი, 31. ტაიჰი, 32. ნესტა, 33. მიტუ, 34. კოკა, 37. ევა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com